

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი
ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

IVANE JAVAKHISHVILI TBILISI STATE UNIVERSITY
IVANE JAVAKHISHVILI INSTITUTE OF HISTORY AND ETHNOLOGY

ISSN 1987-6564

**ისტორიისა და ეთნოლოგიის
ინსტიტუტის შრომები**

XIV-XV

**THE PROCEEDINGS OF THE INSTITUTE
OF HISTORY AND ETHNOLOGY**

XIV-XV

თბილისი

Tbilisi

2016-2017

მთავარი რედაქტორი: **ვაჟა კიკნაძე**

სარედაქციო კოლეგია: **გონელი არახამია, ვახტანგ გოილაძე, შოთა ვადაჭკორია, ჰუბერტუს იანი (დიდი ბრიტანეთი), ხათუნა იოსელიანი, ეკა კვაჭანტირაძე, სეიჩი კიტაგავა (იაპონია), გიორგი ქავთარაძე (მთავარი რედაქტორის მოადგილე), ხათუნა ქოქრაშვილი, ნინო ღამბაშიძე, დოდო ჭუმბურიძე, ლავრენტი ჯანიაშვილი, თემო ჯოჯუა**

კრებული გამოსაცემად მოამზადეს: **თემო ჯოჯუამ და შალვა გლოველმა**

Editor-in-Chief: **Vazha Kiknadze**

Editorial Board: **Goneli Arakhamia, Dodo Chumburidze, Nino Gambashidze, Vakhtang Goiladze, Khatuna Ioseliani, Hubertus F Jahn (Great Britain), Lavrenti Janiashvili, Temo Jojua, Giorgi Kavtaradze (Deputy Chief editor), Seiichy Kitagawa (Japan), Khatuna Kokrashvili, Eka Kvachantiradze, Shota Vadachkoria**

Prepared for publishing by: **Temo Jojua, Shalva Gloveli**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

**„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტის
„ბუნ-თურქთა“ და „ჰონთა“ შინაგონის საკითხისათვის***

უძველესი ქართული მატრიანების – „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს¹ და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს² ტექსტში დადასტურებული ტერმინი – „ბუნ-თურქები“ უკვე საკმაოდ ხანია სამეცნიერო წრეების კვლევის საგანს წარმოადგენს. ამ ეთნონიმის ეტიმოლოგიისა და ინტერპრეტაციის საკითხებთან დაკავშირებით გამოთქმულია არა ერთი გონებამახვილური თუ არასათანადოდ დასაბუთებული აზრი³, რომელთა მიმოხილვა ჩვენი შეზღუდული მოცულობის სტატიის ფარგლებს სცილდება. აქვე შევნიშნავდი, რომ, ჩემი აზრით, სავსებით გამართლებული სკეპტიკური დამოკიდებულება „ბუნ-თურქთა“ რეალური, ისტორიული არსებობის თაობაზე, გვაქვს მხოლოდ ცალკეული ისტორიკოსების ნაშრომებში⁴. ალბათ ისიც საჭიროა განვმარტო, რომ არ მიმაჩნია გამართლებულად ბოლო ხანებში გავრცელებული მცდელობები, ქართულ მატრიანებში დაინახონ ის ინფორმაცია, რომელიც, შესაძლოა სავსებით შეესაბამება ბევრად უფრო ადრეული ხანების ამიერკავკასიაში ისტორიულად დადასტურებულ რომელიმე მოვლენას თუ რეალურად არსებულ ვითარებას, მაგრამ მისი კვალი, სამწუხაროდ, ამ მატრიანებში არ ჩანს და ვერც იქნებოდა იქ ასახული, ვინაიდან, მათი შეთხზვის ხანასთან შედარებით, ათასი და მეტი წლით უფრო ადრეულ ეპოქებს ეხება.

ზემოაღნიშნული ტენდენციის ზეგავლენით, „ბუნ-თურქებში“ არ გამოირიცხავენ ხოლმე „სკვითების“ დანახვის შესაძლებლობას⁵. ცნობილია, რომ სკვითები ძვ. წ. I ათასწლეულში მარ-

* წინამდებარე სტატიის ძირითადი დებულებები 2014 წლის 10 ივნისს, მოხსენების სახით („ბუნ-თურქები“ – ვინ იყვნენ და სად სახლობდნენ?) წარდგენილი იყო გიორგი ბოჭორიძის დაბადების 140 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო-სამეცნიერო კონფერენციაზე ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტში.

¹ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით: „პირველ ოდეს აღუქსანდრე მეფემან ნათესავნი იგი ღოთის შეილთანი წარიქცინა და შეჯანა ივინი კედარსა მას ქუეყანასა, იხილნა ნათესავნი სასტიკნი ბუნ-თურქნი, მსხდომარენი მდინარესა ზედა მტკუარსა მიხუევით, ოთხ ქალაქად, და დაბნები მათი: სარკინე-ქალაქი, კასპი, ურბნისი და ოძრაქე, და ციხენი მათნი: ციხშ დიდი სარკინისაჲ, უფლის-ციხშ კასპისა, ურბნისსა და ოძრაქისაჲ. დაუკრდა აღუქსანდრეს და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს ყოველსა ჯორციელსა ჭამდეს და სამარე მათი არა იყო, მკუდარსა შეშ ჭამდეს. და ვერ ეძლო ბრძოლად მათი მეფესა და წარვიდა...“ (ბ. გივინეიშვილი, ელ. გიუნაშვილი, *მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული X საუკუნისა*. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გივინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა (თბილისი, 1979), გვ. 320: 2-9).

² „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს მიხედვით: „ამან აღუქსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი. ესე გამოვიდა დასავლით, და შევიდა სამჯრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად. და პოვნა ყოველნი ქართველნი უბოროტეს ყოველთა ნათესავთა სჯულითა. რამეთუ ცოლ-ქმრობისა და სიძვისათჳს არა უნდა ნათესაობა, ყოველსა სულიერსა ჭამდეს, მკუდარსა შესჭამდეს, ვითარცა მკეცნი და პირუტყენი, რომელთა ქცევისა წარმოთქმა უკმ არს. და იხილნა რა ესე ნათესავნი სასტიკნი წარმართნი, რომელთა-იგი ჩუენ ბუნთურქად და ყიფაყად უწოდოთ, მსხდომარენი მდინარესა მას მტკუარისასა მიხუევით, დაუკრდა ესე აღუქსანდრეს, რამეთუ არა რომელნი ნათესავნი იქმოდეს მას. და ენება რათამცა აღმოფხურნა ივინი ქალაქებისა მისგან, არამედ მას უაშსა ვერ უძლო, რამეთუ პოვნა ციხენი მაკარნი და ქალაქნი ძლიერნი...“ (ს. ყაუხჩიშვილი, ლეონტი მროველი, *ცხოვრება ქართველთა მეფეთა, ქართლის ცხოვრება*, ტომი I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), გვ. 17: 6-15).

³ ამ საკითხით დაინტერესებული მკითხველისათვის სათანადო ინფორმაცია ხელმისაწვდომია; იხ., მაგ., გ. ყორანაშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და „მეფეთა ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის, გ. ყორანაშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ნაწილი I (თბილისი, 1994), გვ. 204-216; გ. აღასანი. ქართული წერილობითი წყაროების ბუნ-თურქები (საკითხის ისტორიოგრაფია), *ქართული წყაროთმცოდნეობა*, IX (თბილისი, 2000), გვ. 19-29; C. Lerner, *The Wellspring of Georgian Historiography: The Early Medieval Historical Chronicle. The Conversion of K'art'li and The Life of St. Nino*. Translated with introduction, commentary and indices by Constantine B. Lerner (London: Bennett & Bloom, 2004), p. 224f.; ტ. ფუტკარაძე, *ქართველები, ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები*. ნაწილი I: ქრისტიანობამდელი ეპოქა (ქუთაისი, 2005), გვ. 211-219.

⁴ იხ. გ. მაბულია, *კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში* (თბილისი, 1979), გვ. 149-155; გ. ყორანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 216; ვ. გოილაძე, *ბუნ-თურქები კავკასიაში* (თბილისი, 2008), გვ. 11, 20; J. Gippert, *The "Bun-Turks" in Ancient Georgia, Studies on Iran and the Caucasus. Presented to Prof. Garnik S. Asatrian on the Occasion of his 60th birthday*. Uwe Bläsing, Victoria Arekelova, Matthias Weinreich (eds) (Leiden/Boston, 2015), p. 41.

⁵ თუმცა, ისიც სათქმელია, რომ ზოგიერთ ასეთ ავტორს იმავდროულად კარგად აქვს გაცნობიერებული „ველური ტომების“ შესახებ ქართული მატრიანების ცნობების წარმომავლობა შესაბამისი შინაარსის შემცველი სირიული

თლაც იყვნენ ამიერკავკასიაში შემოჭრილნი, მაგრამ ეს სულაც არ ნიშნავს იმას, თითქოს ქართული მატრიანეები შეიცავენ ინფორმაციას ცენტრალურ ამიერკავკასიაში მათი განსახლების შესახებ „ბუნ-თურქებზე“ შემონახული ცნობის სახით, არამედ განპირობებულია მხოლოდ და მხოლოდ იმ მარტივი მიზეზით, რომ ქართული მატრიანეების „ბუნ-თურქებში“ არეკლილია ბიბლიური წარმომავლობის ინფორმაცია „გოგისა და მაგოგის აგზნიან ტომებზე“, რომელიც, თავის მხრივ, ეფუძნებოდა ისტორიულ ფაქტს ძვ. წ. I ათასწლეულის პირველ ნახევარში მომთაბარე კიმერიელებისა და სკვითების ჩრდილოეთიდან (კავკასიონის გადაღახვით) ახლო აღმოსავლეთში შეჭრისა და მათ მიერ იქ გამოწვეული ნგრევისა და ხოცვა-ჟლეტის შესახებ (იხ. ქვემოთ)¹.

ეჭვს არ უნდა იწვევდეს ის გარემოება, რომ უძველეს ხანებთან დაკავშირებით ქართველი მემატრიანეების მიერ გამოყენებული ცნობები ძირითადად ეყრდნობა მათი მოდერნიზაციის ხანაში გავრცელებულ ლიტერატურას (როგორც დასავლურს, ასევე აღმოსავლურს), და მეტ-ნაკლებად თანხვედრაშია მათში ასახულ ინფორმაციებთან.

საგანგებო მსჯელობის საკითხს წარმოადგენს ეთნონიმ „ბუნ-თურქის“ წაკითხვის სისწორე. თუმცა, ალბათ, არსებითი მნიშვნელობა არც უნდა ჰქონდეს იმას, თავდაპირველად „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს დედანში სიტყვა „ბუნ-თურქის“ პირველი ასო „ბანი“ იყო თუ „ჰაე“, და, შესაბამისად, ეს სიტყვა წაკითხული უნდა ყოფილიყო თუ არა, როგორც „ბუნ-თურქი“². იმის დასადგენად, თუ ვინ უნდა ყოფილიყო ნაგულისხმევი ამ ხალხში, ჩემი აზრით, მნიშვნელობა აქვს იმ კონტექსტს, რომელშიც გვხვდება ეს სახელწოდება, კერძოდ, იმ ფაქტს, რომ როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს, ასევე „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ტექსტში, „ბუნ-თურქები“ მოხსენიებული არიან მხოლოდ და მხოლოდ ალექსანდრე მაკედონელთან და ქართლში მის ლეგენდარულ ლაშქრობასთან დაკავშირებით.

ვინაიდან, ალექსანდრე მაკედონელს კავკასიაში არასოდეს ულაშქრია და ადრეულ თხზულებათა მთელი ციკლი აქ მისი ლაშქრობის შესახებ ლეგენდებისა და მითოლოგიის სფეროს განეკუთვნება, ბუნებრივი იქნებოდა, თუ ასეთი სახის თხზულებათა შორის (და არა კონკრეტულ ისტორიულ მოვლენებთან პარალელების ძიებით), შევეცდებოდით ქართულ მატრიანეებში დაცული ცნობების პირველწყაროს დადგენას და არც „ბუნ-თურქების“ ვინაობისა და წარმომავლობის საკითხს არ განვიხილავდით ალექსანდრე დიდთან დაკავშირებული თხზულებებისგან მოწყვეტით.

ქართულ მატრიანეებში წარმოდგენილი ალექსანდრეს მითოლოგიური სახის გათვალისწინებით, საფიქრებელი ხდება, რომ ის პირველწყარო, საიდანაც იყო ნასესხები „ბუნ-თურქების“ თემა ქართულ წყაროებში, უნდა მომდინარეობდეს დიდი მეფის სახელთან დაკავშირებული საგმირო, ლეგენდარული ისტორიებიდან. ასეთი ნაწარმოები კლასიკური და მომდევნო ხანების მწერლობაში არაერთია, სადაც საუბარია ალექსანდრეს ბრძოლაზე ბიბლიურ „გოგისა და მაგოგის“ ველურ ტომებთან.

ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, ყურადღებას იპყრობს ახ. წ. III საუკუნის ალექსანდრიის ბერძნულ-ეგვიპტურ წრეში შექმნილი კომპილაცია, ე. წ. ფსევდო-კალისტენეს „ალექსანდრეს რომანი“³. რომანის თავდაპირველი ვერსია ბერძნულენოვანი იყო. მისგან მრავალი ვერსიაა ნათარგმნი სხვადასხვა ენაზე. აღმოსავლეთის ქვეყნებში განსაკუთრებით ფართოდ იყო გავრცელებული ფალაურენოვანი (შუასპარსული) ტექსტიდან გვიან VI თუ ადრეულ VII საუკუნეში სირიულად ნათარგმნი ვერსია⁴. მის დამატებად არის მიხნეული სირიული თხზულება: „ლეგენდა ალექსანდრეს, ფილიპე მაკედონელის ძის შესახებ, როგორ გაემართა იგი სამყაროს ბოლოსკენ და რკინის კარი აღმართა ჩრდილოეთის ქარის წინააღმდეგ, რათა იქითა მხრიდან ჰუნები არ გამოსულიყვნენ და არ ეპარცვათ ქვეყნები“, იგივე „ქრისტიანული ლეგენდა ალექსანდრეს შესახებ“. ამ თხზულების ყველა ხელნაწერი, მიუხედავად იმ გარემოებისა, რომ იგი გამომდინარეობს „ალექსანდრეს რომანის“ სირიული ვერსიიდან, არ არის უშუალოდ მასზე დამოკიდებული და წარმოადგენს სირიულ ენაზე შექმნილ ორიგინალურ ნაწარმოებს, რომელიც არ იყო ნათარ-

ტექსტიდან; იხ., მაგ. S. H. Rapp, Jr, *The Sasanian World through Georgian Eyes: Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature* (Farnham, Surrey, England; Burlington, VT, USA: Ashgate, 2014), p. 133.

¹ კიმერიელთა და სკვითების ვინაობისა და წარმომავლობაზე სრულიად განსხვავებული მოსაზრება, იხ. A. K. G. Kristensen, *Who Were the Cimmerians, and Where Did They Come From? Sargon II, the Cimmerians, and Rusa I*. The Royal Danish Academy of Sciences and Letters (Copenhagen, 1988).

² სხვებისაგან განსხვავებით, მ. ანდრონიკაშვილი „ბუნ“-ში ხედავს „ბუნების“, „თვისების“, „ხასიათის“, „ნამდვილის“, „ძირითადის“ მნიშვნელობის მქონე სპარსულ ძირს (მ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, I (თბილისი, 1966), გვ. 296-298).

³ B. Berg, *An Early Source of the Alexander Romance*, *Greek, Roman, and Byzantine Studies*, vol. 14, no. 4, 1973, pp. 381-387.

⁴ S. Gero, *The Legend of Alexander the Great in the Christian Orient*, *Bulletin of the John Rylands Library*, vol. 75, 1993, p. 5. უკანასკნელ ხანებში გამოითქვა ვარაუდი ზემოაღნიშნული სირიული ვერსიის უშუალოდ ბერძნული ენიდან თარგმნის თაობაზე (C. A. Ciancaglini, *The Syriac Version of The Alexander Romance*, *Le Muséon*, vol. 114, 2001, pp. 121-140).

გმნი ბერძნული ენიდან და რომელიც თავის მხრივ საფუძვლად დაედო სირიულ ენაზე 629 წ. შემდეგ შექმნილ სირიულ პოემას¹. ზოგიერთი მკვლევრის აზრით, მუსლიმთა მიერ შუამდინარეთისა და პალესტინის დაპყრობის წინა ხანით დათარიღებული ეს თხზულება შთაგონებულია ბიზანტიის იმპერატორ ჰერაკლეს ომით ხაზართა წინააღმდეგ და მისი გამარჯვებით სასანიან ხოსრო ფარევეზზე. იგი უნდა შექმნილიყო როგორც პოლიტიკურ-რელიგიური პროპაგანდისტული ნაწარმოები, რომლის ძირითად მიზანს ჰერაკლეს მიერ წარმოებული საეკლესიო პოლიტიკის გამართლება წარმოადგენდა და, შესაბამისად, ხელი უნდა შეეწყო სირიელი ქრისტიანების დაბრუნებისათვის კონსტანტინეპოლის ეკლესიის წიაღში².

ი. გიპერტის აზრით, სწორედ ეს, სირიული „ალექსანდრეს რომანის“ პროზაული დამატება, განსაკუთრებით ახლოს დგას „უწმინდური ტომების“ შესახებ ქართული მატანეების ცნობებთან³. მიუხედავად იმისა, რომ „ალექსანდრეს რომანი“ ქართულ ენაზე გვიან შუა საუკუნეებამდე არ თარგმნილა (განსხვავებით სომხურისაგან, რომელიც ახ. წ. V ს. გვიან ხანებშია ბერძნულიდან ნათარგმნი)⁴, ძველი ქართველი მწერლები „უწმინდურ ტომებთან“ ალექსანდრე დიდის ბრძოლის თემას, როგორც ჩანს, კარგად იცნობდნენ და წარმატებითაც იყენებდნენ ქართლის უძველესი ისტორიის თხრობისას. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ ზემოაღნიშნული თემის პირველწყაროს – ფსევდო-კალისტენეს „ალექსანდრეს რომანის“ ისტორიული ფასეულობა მეტად უმნიშვნელოა; მასში ისტორიული პიროვნება, დიდი დამპყრობელი, ფანტასტიურ ზეაღმიახად არის წარმოჩენილი⁵.

საყურადღებოა გ. მამულიას მოსაზრება, რომლის თანახმად, „გოგისა და მაგოგის“ ლეგენდების ციკლის სახელით ცნობილი „უწმინდურ ტომთა“ წინააღმდეგ კავკასიაში ალექსანდრე მაკედონელის ლაშქრობის ლეგენდების შერწყმამ ლეონტი მროველის „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ტექსტში შემონახულ „აფრასიაბის გამოქვაბულის ლეგენდის“ ქართულ ვერსიასთან „მკვიდრ თურქებად ანუ ბუნ-თურქებად“ მიხნეულ თურანელთა (თურქების) შესახებ, დასაბამი მისცა არაუადრეს VI საუკუნისა კავკასიაში ალექსანდრეს ლაშქრობის იმ „ქართული ვერსიის“ ჩამოყალიბებას, სადაც ასახულია ალექსანდრეს ომები ქართლში მცხოვრებ „ბუნ-თურქთა“ წინააღმდეგ⁶.

თუმცა, უფრო საფიქრებელია, რომ მოხდა არა „გოგისა და მაგოგის“ ლეგენდების ციკლთან „აფრასიაბის გამოქვაბულის ლეგენდის“ შერწყმა, არამედ, „მოქცევა ქართლისა“-ს ტექსტისგან განსხვავებით, ქართველთა ავტოქთონობის ლეონტი მროველისეული კონცეფციიდან გამომდინარე, „ბუნ-თურქთა“ ქართლში ვითომდა მოსვლის დასაბუთება, ფირდოუსის შაჰნამესეული თურანელთა მეფის აფრასიაბის ბარდავში მდებარე თავშესაფარი გამოქვაბულის მცხეთის დასავლეთით მდებარე (და რაც მთავარია, ჯერ კიდევ „მოქცევა ქართლისა“-ს მატანეში მოხსენიებულ) სარკინეს მღვიმეებში „გადმოტანით“⁷.

გარდა ყოველივე ზემოთქმულისა, წმინდა მწიგნობრული გზით ნასესხობაზე უნდა მივგანიშნებდეს „მოქცევა ქართლისა“-ს ტექსტის ერთი პასაჟი, სადაც საუბარია ალექსანდრეს მიერ „ბუნ-თურქთა“ აღქმაზე: „დაუკრდა ალექსანდრე და ცნა, რამეთუ იებოსელთა ნათესავნი იყვნეს“⁸. აქ გამოყენებული სიტყვა „იებოსელთა“, რა თქმა უნდა, არ უკავშირდება ადგილობრივ გარემოში შემონახულ გადმოცემებს, და ეს მაშინ, როდესაც, იგი გვხვდება IX საუკუნის მემატანის-გიორგი ჰამარტოლის ნაწარმოების არსენ იყალთოელისეულ თარგმანში („სრონოდრაფი გიორგი მონაზონისა“): „ისრაიტელნი ვითარცა იტყვს იოსიპოს⁹, დამპყრობელობისათვის იუდაის ტომისა და მემკვდრეობისა ქალაქისა იერუსალჰმისა იგინი უკუე იუდაიანად იწოდნეს, ხოლო ქა-

¹ S. Gero, დასახ. ნაშრ., გვ. 6, 7.

² S. Gero, დასახ. ნაშრ., გვ. 7; G. J. Reinink, Die Entstehung der syrischen Alexanderlegende als politisch-religiose Propagandaschrift für Herakleios' Kirchenpolitik, *Orientalia Lovaniensia Analecta*, XVIII, 1985, SS. 263-281.

³ J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 30.

⁴ A. M. Wolohojian, *The Romance of Alexander the Great by Pseudo-Callisthenes*. Translated from the Armenian Version with an Introduction by Albert Murgdich Wolohojian (New York and London: Columbia University, 1969).

⁵ E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, *Gog and Magog in Early Eastern Christian and Islamic Sources: Sallam's Quest for Alexander's Wall* (Leiden & Boston: Brill, 2010), p. 16; შდრ., I. Worthington, *Alexander the Great: Man and God* (London, New York: Routledge, 2014), pp. 4-7.

⁶ გ. მამულია, დასახ. ნაშრ., გვ. 151, 154, 155; შდრ. გ. არახაძე, *ქართლის ცხოვრების პირველი მატანის წყარო-მცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული შესწავლის საკითხები*. სადოქტორო დისერტაცია, 1994 წ., გვ. 188.

⁷ ი. გიპერტი გარკვეულ მსგავსებას ხედავს „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს მიხედვით ქართლში (მცხეთა-სარკინეში) თურქთა პირველ გამოჩენისა და „მოქცევა ქართლისა“-ს „ქალღვევლთაგან გამოსხმული ჰონებისა“ და „ბუნ-თურქების“ ქართლში დასახლების სიუჟეტებს შორის (J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 39, 40).

⁸ *მოქცევა ქართლისა*, გვ. 320: 7.

⁹ იგულისხმება იოსებ ფლავიუსი, ახ. წ. I ს. ბერძნულენოვანი, ებრაული წარმოშობის რომაელი ისტორიკოსი, პაგიორგრაფი და პოლიტიკური მოღვაწე.

ლაქი სიონად იუდეადასა, რომელსა ძუელ სადმე იებოსელ სახელ ედებოდა, ვინაძთვან იებოსელ-ნი მეკდრ იყვნეს ადვილსა მას¹.

მწიგნობრული გზით ნასესხობაზე შესაძლოა მიგვანიშნებდეს „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ტექსტის ის პასაჟიც, სადაც აღინიშნება, რომ ალექსანდრე ქართლში ჩრდილოეთიდან, კავკასიონის ქედის გადმოლახვის შედეგად შემოდის: „ამან ალექსანდრე დაიპყრნა ყოველნი კიდენი ქუეყანისანი. ესე გამოვიდა დასავლით, და შევიდა სამხრით, შემოვიდა ჩრდილოთ, გარდამოვლნა კავკასნი და მოვიდა ქართლად“². სავარაუდოა, რომ ქართველი ავტორისათვის კარგად იყო ცნობილი ალექსანდრე დიდის ლაშქრის მსვლელობა დასავლეთიდან აღმოსავლეთით, შემდეგ სამხრეთ-აღმოსავლეთითა და იქიდან ჩრდილოეთით, ბაქტრიისაკენ, რაც ლაშქრობის მსვლელობისას ამიერკავკასიაში მისი შემოსვლისათვის ადვილს აღარ ტოვებდა, თუ არა ცენტრალური აზიიდან ჩრდილოეთ კასპიისპირეთის შემოვლითა და კავკასიონის ჩრდილოეთის მხრიდან გადმოლახვით. იმავედროულად ზემომოყვანილ პასაჟში არც ალექსანდრეს ტიტულის, „მსოფლიოს ოთხივე მხარის მეფის“, ზეგავლენაა გამოსარიცხი რომელიც მან ძვ. წ. 331 წლის სექტემბერში გავეგამელის ბრძოლაში დარიოს III-ის დამარცხების შემდეგ, ბაბილონში მიიღო და რომელიც იმეორებდა დიდი აქემენიანი მეფეების ტიტულატურას³.

დამორჩილებულ ბაბილონში ეტლზე ამხედრებული ალექსანდრეს ტრიუმფალური შესვლა⁴, იმეორებდა გამარჯვებული კიროსის 539 წლის ოფიციალურ შებრძანებას იმავე ქალაქში⁵. ბაბილონი ალექსანდრეს ბრძოლის გარეშე დაზარადა და ხალხი ისეთივე დიდი ზარ-ზემით ესალმებოდა მას, როგორც თავის დროზე კიროსს ხვდებოდა, გარშემო მიმობნეული ყვაველებითა და დანთებული საკმეველით. ალექსანდრემ კიროსის მსგავსად გამოაცხადა, რომ იგი მხოლოდ მშვიდობის დასამყარებლად იყო მოვლენილი ქალაქში, რომლის გადაქცევაც სურდა თავისი აზიური სამფლობელოების დედაქალაქად და მანვე კიროსის მსგავსადვე მიიღო ძველი ბაბილონური ოფიციალური ტიტულატურა: *მეფისა ბაბილონისა და მეუფისა მთელი ქვეყნიერებისა*⁶. ბაბილონში შესულმა ალექსანდრემ გააგრძელა დიდი აქემენიანი მეფეების პოლიტიკა დაპყრობილი ბაბილონის მიმართ, კიროსის მსგავსად დაიხლოვა მთავარი სამლოცველოების ქურუმები და ადგილობრივი ელიტა და მათ ყოველგვარი დახმარება აღუთქვა⁷, მანვე მსხვერპლი შესწირა ბაბილონის უზენაეს ღვთაებას მარდუკს და ამ ღვთაების შესახებ ხანგრძლივად ესაუბრებოდა ხოლმე ქალდეველებს⁸. ასეთი პოლიტიკით ალექსანდრემ მნიშვნელოვნად შეასუსტა ადგილობრივთა შორის მისთვის წინააღმდეგობის გაწევის მოსალოდნელი მისწრაფება.

მიუხედავად ყველაფრისა, ალექსანდრე დიდის დაპყრობების ხასიათი ძირითადად მაინც შემოიფარგლებოდა ერთი ქვეყნის, აქემენიანთა იმპერიის დაპყრობით⁹. სამეცნიერო ლიტერატურაში გვხვდება საინტერესო აზრი, რომლის თანახმად, მაკედონელებმა, მართალია ხანმოკლე

¹ ს. ყაუხჩიშვილი, *ხრონოლოგიური გიორგი მონაზონისა*. თფილისი, 1920, გვ. 117: 11-14. თუმცა, შესაძლოა, „მოქცევაი ქართლისა“-ს ტექსტის ავტორს ბერძნული ორიგინალი გამოყენებინა იმ შემთხვევაში თუ არ მოიპოვებოდა გიორგი ჰამარტოლის ნაწარმოების არსენ იყალთოელისეულზე უფრო ადრეული თარგმანი, რომელიც მას კონსტანტინოპოლში, მანგანას წმიდა გიორგის მონასტრის აკადემიაში 1114 წლამდე უნდა ეთარგმნა (იხ. კ. კეკელიძე, ძველი მწერლობა, *ქართული ლიტერატურის ისტორია 6 ტომად*, გ. ლეონიძე (მთ. რედ.); ტ. 1, აღ. ბარამიძე (რედ.). რუსთაველის სახ. ქართული ლიტერატურის. ინსტიტუტი (თბილისი, 1960), გვ. 270). ს. რეპის მიხედვით კი, ეს ფანტასტიური მინიშნება „იებოსელებზე“ ერთმნიშვნელოვნად მიუთითებს „წმიდა მიწასთან“ ჯერ კიდევ წინაქრისტიანული ქართლის კავშირზე (S. H. Rapp, Jr, *The Sasanian...*, p. 133).

² *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 17: 6-8.

³ პლუტარქეს ცნობით, გავეგამელაში გამარჯვების შემდეგ ალექსანდრე აზიის მეფედ იყო გამოცხადებული (*ცხოვრება ალექსანდრის*, 31-33), ხოლო ბაბილონისა და ლარსას 330 წ. აღმინისტრაციული ტექსტების თანახმად, იგი „ქვეყანათა მეფეა“; ეს ის ტიტულია, რომელსაც სულ რამდენიმე თვით ადრე (331 წ. თებერვალ-მარტში) ატარებდა დარიოსი (P. Briant, J. M. Todd, *Darius in the Shadow of Alexander* (Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 2015), p. 63). აღსანიშნავია, რომ აქემენიდები იწოდებოდნენ „ქვეყნების მეფედ“, ხოლო ძვ. წ. 331 წ. წარწერის მიხედვით, „მსოფლიოს მეფედ“ (P. Briant, *From Cyrus to Alexander: A History of the Persian Empire*. Translated by P. T. Daniels (Winona Lake, Indiana: Eisenbrauns, 2002), p. 726). კიროსსაც, თავის მხრივ, მითვისებული ჰქონია ბაბილონის მეფეების ტიტულატურა (იხ. ქვემოთ).

⁴ Quintus Curtius V, 1, 23.

⁵ იხ. P. Briant, დასახ. ნაშრ., გვ. 862.

⁶ A. Pagden, *Worlds at War: the 2,500-year Struggle between East and West* (Oxford, New York: Oxford University Press, 2008), p. 43; შდრ. M. W. Stolper, *Entrepreneurs and Empire. The Mursu Archive, the Mursu Firm, and Persian Rule in Babylonia*. Publications de l'institut historique et archéologique néerlandais de Stamboul sous la direction de E. van Donzel, Machteld J. Mellink, C. Nijland et J. J. Roodenberg, LIV (Leiden: Nederlands Historisch-Archaeologisch Instituut te Istanbul, 1985), p. 2.

⁷ შდრ. Arrian III, 16, 3; იხ. P. Briant, დასახ. ნაშრ., გვ. 862.

⁸ შდრ. Arrian III, 16, 5; იხ. P. Briant, დასახ. ნაშრ., გვ. 862.

⁹ R. J. van der Spek, *Coming to Terms with the Persian Empire: Some Concluding Remarks and Responses*, *Political Memory In and After the Persian Empire*. Jason M. Silverman and Caroline Waerzeggers (eds.). Society of Biblical Literature; Ancient Near East Monographs, no. 13 (Atlanta: SBL Press, 2015), გვ. 470.

დროით, მაგრამ მაინც გაახანგრძლივეს აქემენიანთა იმპერიის არსებობა, ხოლო თვით ალექსანდრე, ახლოაღმოსავლური იმპერიული გეოპოლიტიკის თვალთახედვიდან გამომდინარე, უკანასკნელ აქემენიან მეფედაც კი არის მიჩნეული, ვინაიდან ამ უზარმაზარმა იმპერიამ მხოლოდ მის სიკვდილთან ერთად შეწყვიტა თავისი ორსაუკუნენახევრიანი არსებობა¹. თავად ალექსანდრე თავის თავს აქემენიანთა შემცვლელად თვლიდა, ოღონდ არა როგორც სპარსეთის ახალი მეფე, არამედ როგორც აზიისა და ქვეყნიერების (ანუ მთელი სამყაროს) მეფე, მსგავსად აქემენიანი მეფეებისა².

სავარაუდოა, რომ სწორედ ალექსანდრე დიდის მიჩნევას ქვეყნიერების მეფედ და თვით ღვთაებადაც კი, უნდა განეპირობებინა, უპირველეს ყოვლისა, მისი ჩართვა ბიბლიური ხასიათის სიუჟეტებში და კერძოდ, მისი დაკავშირება „გოგისა და მაგოგის“ ტომების ირგვლივ არსებულ ესქატოლოგიური ხასიათის თემატიკასთან, რამაც თავისი გამოხატულება ჰპოვა კიდევ უძველეს ქართულ მატრიანებში.

რაც შეეხება, ქართლში კავკასიონის გადმოღახვით, „*მხოვლიოს ოთხივე მხარის მეფის*“ ჩრდილოეთიდან შემოსვლას, რასაც „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ გეამცნობს (იხ., ზემოთ), საყურადღებოა, რომ თვით ეს თხზულება, ჩრდილოეთიდან ამიერკავკასიაში შემოსატრეულ ორ გზაზე ამახვილებს ყურადღებას და შესაძლოა, იმავედროულად, მიგვანიშნებდეს ტექსტის ამ ფრაგმენტის შექმნის მოახლოებულ ხანაზეც, გვიან VII – ადრე VIII სს., ჩრდილოელი მოლაშქრეების ხაზარებად მოხსენიებით: „*და ისწავეს ხაზართა ორნივე ესე გზანი, რომელ არს ზღვსკარები, დარუბანდი და არაგვსკარები, რომელ არს დარიალა*“³. ვინაიდან „ბუნ-თურქები“ მოხსენიებულნი არიან მხოლოდ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს იმ ნაწილში, სადაც საუბარია კავკასიაში ალექსანდრეს ლაშქრობაზე, ხოლო ამავე ტექსტში უფრო ადრეულ და გვიანდელ ჩრდილოელ მომთაბარეებზე საუბრისას ძირითადად ხაზართა სახელი იხენს თავს⁴, ეს გარემოება დამატებით საბუთს უნდა წარმოადგენდეს „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს სწორედ ამ ნაწილის „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტიდან (ანდა, რომელიდაც ჩვენთვის ჯერ კიდევ უცნობი მესამე წყაროდან ორივე ამ მატრიანეში) სესხების სავარაუდებლად⁵. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში ალექსანდრე დიდის წინააღმდეგელი მოვლენების აღწერისას ხაზარების მოხსენიება, ცხადია მოწმობს, რომ ეს ეთნონიმი, ისევე როგორც ალექსანდრესთან მეტროპოლი „ბუნ-თურქებისა“, აქ პირობითი მნიშვნელობით არის ნახმარი ამიერკავკასიაში მოსახლე მომთაბარე ტომების აღსანიშნავად.

თუმცა, გასათვალისწინებელია ისიც, რომ ზოგჯერ შედარებით გვიანდელ თხზულებებშიც გვხვდება ხოლმე უფრო ადრეული ვითარების ასახვა. კერძოდ, X ს. სომეხი ავტორი მოვსეს დასხურანცი, ქართული მატრიანებისაგან განსხვავებით, იუწყება ალექსანდრე დიდის მიერ არა „ბუნ-თურქების“, არამედ „ჰუნების“ დალაშქრის თაობაზე და ამით გარკვეულად გვეხმარება კიდევაც ჩვენი საკვლევი ეთნონიმის პირველი შემადგენელი კომპონენტის – „ბუნ“ ჰუნებად განმარტების ვარაუდის სასარგებლოდ. მისი ცნობით, როდესაც მესროპ მაშტოცმა ქრისტეს რჯულის ქადაგებით დერბენტის გადასასვლელს მიადწია, მან ჰუნებიც კი მოაქცია, რომლებიც ალექსანდრე დიდის მიერ ყოფილან დატყვევებულნი და კავკასიის მთებში განსახლებულნი⁶. მოვსეს დასხურანცის მიერ ალექსანდრეს *რკინის კარის* მოუხსენიებლობის (რაც ქართული მატრიანებისათვისაც არის დამახასიათებელი) ერთადერთი მიზეზი უნდა ყოფილიყო ის გარემოება, რომ როგორც „ალექსანდრეს რომანის“ სომხურ ვერსიაში, ისე მის უძველეს ბერძნულ პირველწყაროში (*recensio vetusta a*) არსად არ არის ნახსენები ალექსანდრეს მიერ „გოგისა და მაგოგის უწმიდური ტომების“ შემაკავებელი წინააღმდეგობის, რკინის კარისა თუ გალაგნის აგება. ხაზგასახმელია ის გარემოება, რომ შედარებით ადრეული ხანის სომეხი ავტორები, რომლებიც არცთუ იშვიათად მოიხსენიებენ ხოლმე თავის ნაწარმოებებში როგორც ალექსანდრე მაკედონელს, ასევე კავკასიონის უღელტეხილებს, მოვსეს დასხურანცისგან განსხვავებით, მათ არასოდეს არ აკავშირებენ ერთმანეთთან, და ბუნებრივია, რომ მათთვის სრულიად უცნობია „უწმიდური ტომების“ წინააღმდეგ ალექსანდრეს მიერ აგებული „რკინის კარის“ მოტივიც⁷.

¹ P. Briant, დასახ. ნაშრ., გვ. 876.

² R. J. van der Spek, დასახ. ნაშრ., გვ. 471.

³ *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 12: 3-4.

⁴ *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 11: 10, 11, 15, 19, 21, 22; გვ. 12: 3, 4, 6, 7, 14, 15, 22; გვ. 13: 8; გვ. 16: 22; გვ. 19: 10; გვ. 27: 6; გვ. 59: 14; გვ. 63: 17; გვ. 65: 13; გვ. 66: 9, 10, 12-14, 16, 17; გვ. 67: 11, 12; გვ. 68: 4, 6, 18.

⁵ შდრ. J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 40.

⁶ C. J. F. Dowsett, Movses Dasxuranci. *The History of the Caucasian Albanians*. Translated by C. J. F. Dowsett. School of Oriental and African Studies University of London, Oriental Series, vol. 8 (London, New York, Toronto: Oxford University Press, 1961), p. 54f.

⁷ E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, დასახ. ნაშრ., გვ. 37, 38.

ცოდნა ამ ტომების ესქატოლოგიური მნიშვნელობის, მათ წინააღმდეგ წინაღობების აგებისა და დაბრკოლებების შექმნის საჭიროების შესახებ მხოლოდ შედარებით გვიანდელ სომხურ წყაროებში გვხვდება და უნდა მომდინარეობდეს არაბთა შემოსევის ესქატოლოგიური ინტერპრეტაციისადმი მიძღვნილ ფსევდო-მეთოდის აპოკალიფსის სირიული ტექსტიდან, რომლის ციტირებასაც გვიანდელი სომეხი ავტორები ხშირად ახდენენ¹. ეს თხზულება VII საუკუნის გვიან ხანაში უნდა იყოს შექმნილი და თავის მხრივ ეყრდნობა სირიულ „ალექსანდრეს ლეგენდას“². ამ თხზულებაში შთამბეჭდავად არის წარმოდგენილი „გოგისა და მაგოგის“ უწმიდური ტომების კანონალური ბუნება, სათანადოდ ასახული ქართული მატრიანეების „ბუნ-თურქთა“ დახასიათებისას.

მაგრამ, როგორც ირკვევა, ალექსანდრეს მიერ აგებული „რკინის კარის“ თემა, რომელიც მხოლოდ „ალექსანდრეს რომანის“ გვიანდელ, შუა საუკუნეების ბიზანტიურ ვერსიებში ჩნდება, თავს იჩენს ჯერ კიდევ ალექსანდრეს შესახებ შეთხზულ სხვა, უფრო ადრეულ ლეგენდებში; შესაბამისად, სწორედ ეს თემაა მნიშვნელოვანი პიროვნულად მისთვის ქრისტიანულ-აპოკალიფსური მნიშვნელობის მინიჭების თვალთახედვით. მკვლევართა აზრით, ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს, ზემოხსენებული მცირე ზომის სირიული თხზულება „ქრისტიანული ლეგენდა ალექსანდრეს შესახებ“. როგორც ვხედავთ, პოლიტიკური კონიუნქტურის მიხედვით, თუ VII ს. ადრეულ ხანებში ალექსანდრესთან მეზობლად „უწმიდურ ხალხად“ ხაზარები მიიჩნეოდნენ, იმავე საუკუნის დამლევს ასეთებად უკვე არაბები გვევლინებიან.

„მთავარი გოგი და მისი ქვეყანა მაგოგი“ დასახელებულია ჯერ კიდევ ძველი აღთქმის „ეხეკიელის წინასწარმეტყველებაში“: „*ძო კაციხო, განიმტკიცე პირი შენი გოგსა ზედა და ქუყანასა ზედა მაგოგოთასა მთავარსა როსს, მოსოხს და თობელსა...*“³. ბიბლიის ეს ნაწილი სავარაუდოდ ძვ. წ. VI ს. უნდა თარიღდებოდეს, ანუ ახლო აღმოსავლეთში კიმერიელთა და სკვითების ლაშქრობების მომდევნო ხანით, როდესაც ჯერ კიდევ ცოცხალი იყო გადმოცემები მათი დამანგრეველი, ყველაფრის წამლეკავი შემოსევების შესახებ. იუდეური ესქატოლოგიური ტრადიციის თანახმად, „გოგი და მაგოგი“ ღვთის მოწინააღმდეგე მტრული ტომებია, თუმცა იმავდროულად ისინი წარმოადგენენ ღვთის რისხვის სიმბოლურ გამოხატულებასაც. სხვადასხვა ეპოქაში „გოგთან და მაგოგთან“ ხდებოდა ჯერ ებრაელთა მიმართ მტრულად განწყობილი ხალხებისა და ქვეყნების, ხოლო უფრო გვიან რომის იმპერიისა და საზოგადოდ ახლოაღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირული ოიკუმენისადმი საფრთხის შემცველი ძალების გაიგივება: გარდა ზემოხსენებული კიმერიელების და სკვითებისა, ასირიელების, ბაბილონელების, მიდიელების, ალანების, ჰუნების, გოთების, ხაზარების, არაბების, თურქების, მონღოლების; უფრო ახლო ხანებში „გოგისა და მაგოგის“ პერსონიფიკაცია ხდებოდა ბონაპარტიტულ საფრანგეთთან, ნაცისტურ გერმანიასთან, კომუნისტებთან, მასონებთან, ალ-ყაიდასთან⁴. სულაც არ არის გამორიცხული, რომ ეს ჩამონათვალი არცთუ ისე შორეულ მომავალში კიდევ უფრო გაიზარდოს. მთლიანობაში, ეხეკიელისეული „გოგი“ წარმოჩენილია, როგორც მითოლოგიური არსება, რომელშიც განსახიერებულია კაცობრიობის ესქატოლოგიური მტერი და იმ ჩრდილოეთის წყვედიანი, სადაც არის მისი სამკვიდრებელი („*დასასრულისაგან ჩრდილოდა*“)⁵ და რომლის შესახებაც მინიშნებები უფრო ადრეული ხანების წინასწარმეტყველებთანაც არის მოცემული: „*პირისაგან ჩრდილოსა აღევ ზნენ ბოროტნი ყოველთა ზედა დამკვდრებელთა ქუყანისათა*“⁶.

იოსებ ფლავიუსის ხანიდან, ანუ ახ. წ. I ს., დაწყებული, „გოგი და მაგოგი“ ბერძნულ-რომაულ წერილობით წყაროებში ჩვეულებრივ იდენტიფიცირებულია შავი ზღვის ჩრდილოეთით მცხოვრებ სკვითებთან და მათ მონათესავე ალანებთან და, შესაბამისად, მათი ადგილმდებარეუ-

¹ შდრ. E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, დასახ. ნაშრ., გვ. 38.

² სწორედ ის გარემოება, რომ ქართული მატრიანეებისათვის უცნობია „გოგისა და მაგოგის ტომების“ არსებობა და მათ წინააღმდეგ აგებული ჩრდილოეთის კარის თემა, საშუალებას აძლევს ს. რეპს იფიქროს, რომ ეს თხზულებები შექმნილი უნდა იყოს უფრო ადრე, ვიდრე ფსევდო-მეთოდის ნაწარმოები შეიქმნა ფართო პოპულარობას, ანუ ადრეულ VIII საუკუნემდე (S. H. Rapp, Jr, *The Sasanian...*, p. 136).

³ წინასწარმეტყველება ეხეკიელისი, 38: 2; იხ. ე. დოჩანაშვილი, *მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, წინასწარმეტყველება წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეხეკიელი)*. გამოსაცემად მოამზადა ე. დოჩანაშვილმა (თბილისი: „მეცნიერება“, 1985), გვ. 350; შდრ., აგრეთვე, 38: 3, 14, 17, 18; 39: 1, 6, 11, 15.

⁴ E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, დასახ. ნაშრ., გვ. 4.

⁵ წინასწარმეტყველება ეხეკიელისი, 38: 15; იხ. ე. დოჩანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 351.

⁶ J. Lust, Gog, *Dictionary of Deities and Demons in the Bible*. Karel van der Toorn, Bob Becking, Pieter W. van der Horst (eds.). Second, extensively revised edition (Leiden, Boston, Köln: Brill, 1999), p. 374. მკვლევართა აზრით, ხან ხალხების, ხანაც ქვეყნების და, ამასთანავე, ყოველთვის ღვთისა და მისი რჩეული ერის ზებუნებრივი მოწინააღმდეგეების აღმნიშვნელ სახელწოდებებს – „გოგი“ და „მაგოგი“, ძირითადად მაინც ურთიერთშენაცვლებადი ხასიათი აქვთ (J. Lust, Magog, *Dictionary of Deities and Demons in the Bible*. Karel van der Toorn, Bob Becking, Pieter W. van der Horst (eds.). Second, extensively revised edition (Leiden, Boston, Köln: Brill, 1999), p. 535-537).

⁷ წინასწარმეტყველება იერემიასი, 1: 14; იხ. ე. დოჩანაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 156.

ბა განისაზღვრებოდა ხოლმე კავკასიონის ჩრდილოეთით მდებარე ტანაისისა (მდ. დონის) და მეოტიის ტბის (აზოვის ზღვა) სანაპიროებით¹. მიუხედავად იმისა, რომ იოსებ ფლავიუსი იუწყებოდა კავკასიონის მთებში ალექსანდრეს მიერ „ველური ტომების ჩამკეტი რკინის კარიბჭის“ აგებას, ამ კარიბჭეს ჯერ კიდევ არ ენიჭებოდა მომავალში შექმნილი ის აპოკალიფსური მნიშვნელობა, რაც შედარებით უფრო გვიანდელი ხანის ავტორებთან უკვე მკაფიოდ არის გამოკვეთილი. იოსებ ფლავიუსისათვის „ალექსანდრეს კარიბჭეს“ წმინდა სამხედრო-სტრატეგიული დანიშნულება აქვს. ასე რომ, ამ მხრივ იგი გამონაკლისია იმ ძველ მწერალთა შორის, ვინც ბიბლიური „გოგისა და მაგოგის“ ლეგენდა დაუკავშირა ისტორიულად არსებულ ტომთა შემაკავებლად ალექსანდრეს მიერ ვითომდა აგებულ მითიურ „რკინის კარიბჭეს“².

აღსანიშნავია, რომ „რკინის კარის“ ცნება, როგორც წესი, უკავშირდება ტოპონიმს – „კასპიის კარი“, რომელიც სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში კასპიის ზღვის მახლობლად მდებარე სხვადასხვა უღელტეხილთან არის გაიგივებული. შენიშნულია, რომ „კასპიის კარი“ ძველთაგანვე განიხილებოდა ყველა თანადროული უმნიშვნელოვანესი მოვლენების ეპიცენტრად, საიდანაც ხდებოდა ხოლმე ჩრდილოელი ნომადების შესევა სამხრეთით მდებარე მხარეების ცივილიზებული მოსახლეობის გასანადგურებლად და საიდანაც იცვლებოდა სხვადასხვა ეპოქებში მსოფლიოს სახე³. თუ ეს ტერმინი – „კასპიის კარი“, და მასთან ერთად „რკინის კარის“ ცნება თავდაპირველად ჩრდილოეთ ირანში, სიდარის ხეობაში (ფირუზკუხი) მდებარე უღელტეხილს უკავშირდებოდა, სადაც ალექსანდრეს ლაშქარს ნამდვილად გაუვლია, ახ. წ. I ს. იგი უკვე დარიალს („კავკასიის კარს“) აღნიშნავდა, ხოლო უფრო გვიან ეს სახელწოდება დაუშკვიდრდა კასპიის ზღვის დასავლეთ ნაპირზე მდებარე დარუბანდის კარს (დერბენდს)⁴.

ამავე დროს, გასათვალისწინებელია, ის გარემოებაც, რომ დერბენდის კარის გამოყენების შესაძლებლობა ვერ იქნებოდა მაინცდამაინც ეფექტური ახ. წ. V საუკუნემდე, უფრო ადრეულ ხანებში კასპიის ზღვის ბევრად უფრო მაღალი ზღვის დონის გამო (მაგ. ძვ. წ. I ს.)⁵. ახ. წ. 32-37 წწ. დაკავშირებული მოვლენების აღწერისას, ტაციტუსი 109 წ. დაწერილ ანალებში შენიშნავს, რომ ვიწრობები კასპიის ზღვის დასავლეთ სანაპიროზე, ალბანეთის საზღვართან, ზღვასა და მთებს შუა, საკომუნიკაციოდ მაინცდამაინც გამოსადეგარი არ იყო, ვინაიდან იგი მხოლოდ ზამთრობით იყო ღია, როდესაც ქარი ნაპირიდან ერეკებოდა ტალღებს და აშიშვლებდა მეჩენებს ამ ნაპირის გასწვრივ⁶. შესაძლოა ეს იყო მიზეზი, რომელმაც ალბათ განაპირობა ზემოაღნიშნული ფაქტი ტერმინ „კასპიის კარის“ გამოყენებისა დარიალის უღელტეხილის მნიშვნელობით. ჯერ კიდევ პლინიუს უფროსი აღნიშნავდა, რომ „კავკასიის კარს“, რომელიც იბერიული ქალაქის ჰარმასტისის (არმაზის) პირდაპირ მდებარეობს და სამყაროს ორ ნაწილად განყოფს (იხ. ქვემოთ), მისი თანამედროვენი შეცდომით უწოდებდნენ „კასპიის კარს“, რომელიც, სინამდვილეში, კასპიის ზღვის სამხრეთით, ირანში, მდებარეობდა⁷. თუმცა, როგორც ჩანს, კავკასიონის ცენტრალური ნაწილის აღმნიშვნელად იმთავითვე გამოიყენებოდა „კასპ“-ძირის მქონე თუ მასთან მიმსგავსებული სახელწოდება⁸.

„ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ დერბენდის კარის გამაგრებას მიაწერს ალექსანდრეს წინა ხანის ლეგენდარულ სპარსელ სარდალს – არდამს: „ამან არდამ ერისთავმან აღაშენა ქალაქი ზღვს-კარს, და უწოდა სახელი დარუბანდი, რომელი ითარგმანების „დაკშა კარი“⁹. დერბენდის კარიბჭის (არაბული ბაბ-ალ-აბვაბი ანუ „კართა კარი“) დანიშნულება – ჩაეკეტა კასპიის ზღვის სანაპირო გასასვლელი ჩრდილოელი მომთაბარე დამპყრობლებისათვის – არ უნდა ყოფილიყო რამდენადმე აქტუალური ახ.წ. VI საუკუნემდე, როდესაც იგი გამაგრებული იქნა სპარსეთის შაჰის ხოსრო ანუშირვანის მიერ (531-579 წწ.). როგორც ჩანს, ამ დროისათვის კასპიის ზღვის ერთ დროს მაღალი დონე შედარებით დაეცა და გზა მისცა სანაპირო გასასვლელს, შესაბამისად საჭირო გახდა სანაპირო საფორტიფიკაციო ნაგებობების აღმართვა.

ახ. წ. V საუკუნიდან მკვიდრად იკიდებს ფეხს თვალსაზრისი, რომლის მიხედვითაც „გოგი და მაგოგი“ ზოგადად ისევ სკვითურ ტომებთან, ხოლო უფრო კონკრეტულად – ჰუნებთან არიან

¹ *იუდეველთა ობი*, 7: 7, 4; *იუდეგის ბიბლიები*, I, vi, 1. შდრ. J. Lust, Magog, p. 536.

² E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, დასახ. ნაშრ., გვ. 11, 12.

³ M. Walckenaer, On Ancient Geography, *The Classical Journal*, for September and December 1817, vol. XIV, no. XXXII, 1817, p. 259.

⁴ შდრ. M. Walckenaer, დასახ. ნაშრ., გვ. 257-262.

⁵ იხ. С. Н. Муравьев, Птолемеява карта кавказской Албании и уровень Каспия, *Вестник древней истории*, 1, 1983, сс. 117-147.

⁶ Tac., *Ann.*, 6, 33.

⁷ Plin., *n.h.*, VI: 12, 15, 17, 21, 23, 39; იხ. J. Bostock, H. T. Riley (eds.). Pliny the Elder, *The Natural History* (London. Taylor and Francis, 1855), n. 193.

⁸ შდრ. M. Walckenaer, დასახ. ნაშრ., გვ. 261, 262. საინტერესოა, ხომ არ არის ორონიმი „ყაზბეგი“ (მყინვარწვერი) ამ ძველი სახელწოდების კონტამინაციის შედეგად მიღებული.

⁹ *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 13: 9, 10.

გაიგივებულნი. აღსანიშნავია, რომ ახ. წ. IV ს. დამლევს კავკასიონის გადალახვის შედეგად ქედის სამხრეთით ჰუნების შემოსევის თანამედროვე და მომსწრე, წმიდა იერონიმე სტრიდონელი (347-420 წწ.) „გოგსა და მაგოგს“ უკვე ჰუნებთან აიგივებდა. „წინასწარმეტყველება ეზეკიელისას“ კომენტარებში იგი „გოგისა და მაგოგის“ საუფლოს, იოსებ ფლავიუსის მსგავსად, კავკასიონის გადაღმა და მეოტიის ტბასთან ათავსებს, ხოლო თავის 77-ე ეპისტოლეში განმარტავს, რომ ჰუნთა ორდები „გამოსხმულნი“ იყვნენ მეოტიიდან, სადაც ისინი ბინადრობდნენ ყინულოვან ტანაისსა და მასაგეტთა შორის და სადაც ალექსანდრეს მიერ აგებული კარიბჭე აკავებდა სისხლისმღვრელ და შიშისმთესველ კავკასიონის იქითა მხარეს მცხოვრებ, სწრაფ ცხენებზე ამხედრებულ ველურ ტომებს¹. ა. რ. ანდერსონის ვარაუდით, „ალექსანდრეს რომანში“ „გოგისა და მაგოგის ლეგენდის“ ჩართვა სწორედ ჰუნების ზემოდასახელებულ შემოსევას უნდა განეპირობებინა².

შეიძლება ითქვას, რომ გვიანი IV ს. ჰუნების შემოსევების მომდევნო ხანებში, არანაკლებ ორი-სამი საუკუნის მანძილზე „გოგი და მაგოგი“ პერსონიფიცირებული იყო ჰუნებთან და შესაბამისად ყველაზე უფრო „ეკონომიური ვარაუდი“ იქნებოდა ქართული წყაროების „ბუნ-თურქების“ სახელწოდების სწორედ მათთან დაკავშირება³. აღსანიშნავია, რომ სირიული „ალექსანდრეს რომანის“ დამატება – „ქრისტიანული ლეგენდა ალექსანდრეს შესახებ“, რომელიც, როგორც ზემოთ ითქვა, განსაკუთრებით ახლოს დგას „ველური ტომების“ შესახებ ქართული მატყანების მონაცემებთან, მოგვითხრობს, რომ კავკასიაში მოსული ალექსანდრეს მიერ დასმულ კითხვაზე აქ მობინადრე ველური, ავი ზნის ხალხის ვინაობის შესახებ, ადგილობრივები პასუხობდნენ, რომ ისინი ჰუნები არიანო, ხოლო მათი მეფეებია გოგი, მაგოგი და ნავალი, ძენი იაფეტისაო⁴. ამ მხრივ, ისიც საგულისხმოა, რომ ბევრად უფრო გვიან (ხაზარების, არაბების, თურქ-სელჯუკების, ხვარაზმელების შემოსევების შემდეგაც კი) XII საუკუნის სომხურენოვანი თხზულება „შეკითხვა“ (*harc'umn*), სადაც ვრცელი ამონარიდია მოთავსებული ფსევდო-მეთოდის „აპოკალიფსისიდან“, ისევე ჰუნებთან აკავშირებს ალექსანდრეს მოწინააღმდეგე „უწმინდურ ხალხს“⁵.

დამატებით, არაპირდაპირ მინიშნებას „ბუნ-თურქების“ სახელწოდების ჰუნებისა და თურქების სახელწოდებათა კონტამინაციის შედეგად მიღების სასარგებლოდ, ი. ვიპერტის აზრით, წარმოადგენს ის გარემოება, რომ ქართლის ცხოვრების XII საუკუნის სომხურ ვერსიაში⁶ იქ, სადაც, საუბარია ყიფჩალებთან დავით აღმაშენებლის დამოყვრებაზე, ქართული ორიგინალის მსგავსად, დასახელებული ყიფჩალები⁷, ქართული ორიგინალისაგან განსხვავებით, განმარტე-

¹ იხ. E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, დასახ. ნაშრ., გვ. 13, შენ. 16; *Epistula 77*, 6-8: "Ecce subito discurrentibus nuntiis oriens totus intremuit, ab ultima Maeotide inter glaciale Tanain et Massagetarum inmanes populos, ubi Caucasi rupibus feras gentes Alexandri claustra cohinent, erupisse Hunnorum examina, quae pernicibus equis hue illucque olitiantia caedis pariter ac terroris cuncta complerent".

² A. R. Anderson, *Alexander's Gate, Gog and Magog, and the Inclosed Nations* (Cambridge, Mass.: The Mediaeval Academy of America, 1932), pp. 17-19.

³ ამის საპირისპიროდ, ი. ვიპერტი მიიჩნევს, რომ საქართველოში „ბუნ-თურქების“ ბინადრობის თაობაზე მოსახრების აღმოცენებისათვის ისტორიულ საფუძველს იძლეოდა VI-VII საუკუნეების „ჰუნების“ ანუ სინამდვილეში ხაზართა შემოსევები, რომელთაც ადგილი უნდა ჰქონოდათ არაუადრეს ახ. წ. 515 წ., ანდა, შესაძლოა, ერთი საუკუნით უფრო გვიან, 628 წ., თუ გავითვალისწინებთ სირიული „ქრისტიანული ლეგენდის“ შექმნის ხანას; ეს მოვლენები მემატყანეების მიერ გადატანილი იყო წინაისტორიულ ხანაში (J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 37, 40-41).

⁴ აქედან გამომდინარე, ი. ვიპერტი მიდის იმ დასკვნამდე, რომ ტერმინი „ბუნი“ „ჰუნების“ სახელწოდების დამახინჯების შედეგად უნდა ყოფილიყო აღმოცენებული და ცდილობს ეს ქართული-ასომთავრული და სირიული დამწერლობების პალეოგრაფიული მონაცემებისა და ბერძნული ენისათვის დამახასიათებელი თავისებურებებით ახსნას, თუმცა, მათ შორის უპირატესობას ქართული-ასომთავრული დამწერლობის „ჰაე“ ასო-ნიშნის „ბანიო“ ჩანაცვლებას ანიჭებს (J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 31-32, 37).

⁵ E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, დასახ. ნაშრ., გვ. 39, 40.

⁶ უცნობი სასულიერო პირის მიერ ჯერ კიდევ XII საუკუნეში კლასიკურ სომხურ ენაზე ნათარგმნი „ქართლის ცხოვრების“ (ორიგინალის შემოკლებული ვარიანტი – "Patmut'w'n Vrac") ტექსტი, რომელშიც ზოგიერთი ახალი, სპეციფიკური სომხური მასალა იყო ჩართული, ცნობილია XIII საუკუნის მანუსკრიპტის საშუალებით. სომხური ვერსია უცილობლად უნდა დათარიღდეს 1125 წლიდან 1270 წლამდე; სავარაუდოდ, იგი ნათარგმნია XII საუკუნის პირველ ნახევარში (იხ. R. W. Thomson, *Rewriting Caucasian History: The Medieval Armenian Adaptation of the Georgian Chronicles. The Original Georgian Texts and the Armenian Adaptation. Translated with Introduction and Commentary by Robert W. Thomson* (Oxford: Clarendon Press, 1996). ს. რუპის დაკვირვებით, აღნიშნული სომხური ვერსია ერთდროულად წარმოადგენს ამჟამად დაკარგული ქართული ეკზემპლარის თარგმანს, ადაპტაციას, შემოკლებას და, ამასთანავე, ამ უკანასკნელის არაზუსტ გადმოცემასაც (S. H. Rapp, Jr (ed.), *K'art'lis c'xovreba. The Georgian Royal Annals and their Medieval Armenian Adaptation*. Vol. I. Anatolian and Caucasian Studies (Delmar, New York: Caravan Books, 1998, p. 31).

⁷ ს. ყაუხჩიშვილი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, *ქართლის ცხოვრება*, ტომი I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), გვ. 336: 1-23; შდრ. J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 35, 36. ძველ სომხურ ლიტერატურაში გვხვდება ჰუნებთან ხაზარების გაიგივებაც, მაგ. მოვსეს დასხურანცი II, 11 (იხ. S. H. Rapp, Jr, *Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts. Corpus scriptorum christianorum orientaliu*, vol. 601 (Louvain: Peeters, 2003), p. 150, n.188).

ბულნი არიან, „ჰუნებად“¹, ხოლო ლეონტი მროველთან, იქ, სადაც საუბარია ალექსანდრე დიდზე, „ბუნ-თურქები“ და ყივჩაღები გვერდი-გვერდ არიან მოხსენიებული². ი. გიპერტი თვლის, რომ ეს ორი ფრაგმენტი ერთმანეთთან უნდა იყოს კავშირში, ვინაიდან, ყივჩაღებთან დამოყვრების შესახებ ფრაგმენტს უშუალოდ წინ უსწრებდა დავით მეფის დახასიათება, როგორც მეორე ალექსანდრეს³.

„ბუნ-თურქების“ სახელწოდების ჰუნებისა თუ „ჰუნ-თურქების“ სახელწოდებებთან გაიგივების შემთხვევაში, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონებში“ ჰუნების დანახვა უკვე რთული გახდება. არც ის გვეგონია, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში, განსაკუთრებით მის საწყის ნაწილში, რომელიც „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-საგან განსხვავებით, ნაკლებად ეკლექტიკური ხასიათისაა და არც სპარსული წარმომავლობის ლეგენდებისა და თხზულებების რამდენადმე საგრძნობ კვალს ატარებს⁴, ნაგულისხმევი ყოფილიყვნენ „სპარსელთაგან“ გამოქცეული და ქართლში დამკვიდრებული ჰუნები.

ბოლო ხანების ქართულ ისტორიოგრაფიაში ფეხი მოიკიდა აზრმა, რომ ქართული წერილობითი წყაროების „ქალდეველებით“ სპარსელები მოიხსენიებოდნენ ხოლმე. თუმცა, აქ გასარკვევია, თუ როდის, როგორ და რა მიზეზების გამო. კ. კეკელიძის შეხედულებით, ძველ ქართულ ლიტერატურაში შენიშნული ის გარემოება, რომ ირანს ხშირად ეწოდება ქალდეველთა ან ბაბილონელთა ქვეყანა, ხოლო ბაბილონი სპარსეთის ქვეყნად არის მიჩნეული, განპირობებული უნდა ყოფილიყო იმ ბიბლიური ტრადიციით, რომლის მიხედვითაც ბაბილონის ქვეყანას ქალდეველთა ქვეყანაც ეწოდება, ხოლო ორივენი გაიგივებული არიან სპარსეთთან, ვინაიდან იგი ქალდეველთა ან ბაბილონელთა ქვეყანასაც შეიცავდა ერთ დროს⁵.

ცნობილი ფაქტია, რომ აქემენიანთა სპარსული იმპერიის ხანიდან დაწყებული, ბაბილონელების გარდა, „ქალდეველთა“ სახელით მოიხსენიებოდნენ აგრეთვე, საზოგადოდ, სათანადო განათლების მქონე სასულიერო პირები. კერძოდ, კლასიკური ხანის მწერლობაში „ქალდეველთა“ სახელით ცნობილი არიან შუამდინარეთის რელიგიური განათლების მქონე ხალხი, ვარსკვლავმრიცხველები, წინასწარმეტყველნი⁶. საზოგადოდ, შუამდინარეთში ადგილი ჰქონდა მაზდეანურ/ზოროასტრიულ და ქალდეველთა რელიგიური მრწამსისა და წარმოდგენების შერწყმა-შედუღებას; ხდებოდა აღრევა მითრისა შამაშთან, ანაჰიტისა იშთართან და ა. შ.⁷ ხშირი იყო მოგვების აღრევაც ქალდეველებთან⁸. სწორედ ასეთი აღრევის შედეგი უნდა იყოს ქართული წყაროს („ცხოვრებაჲ წმიდისა ნინოსის“) ცნობა, რომ „ითრუშანა/ითრუჯანი“ „ქალდეველთა“ ღმერთი იყო: „*ეგე არმაზ და ქალდეველთა ღმერთი ითრუშანა ყოვლად-ვე მტერ არიან. ამან მის ზედა ზღუად მოადგინის და მან ამის ზედა ერთი ნუ რაამე მოაწიის, ვითარცა აქუს ჩუეულება სოფლის მპერობელთა*“⁹.

გასათვალისწინებელია, ისიც, რომ აქემენიანთა ხანიდან მოყოლებული, სპარსელებსა და ქალდეველ/ბაბილონელებს შორის განსაკუთრებული ურთიერთობა დამყარდა. როგორც ზემოთაც აღვნიშნავდით, კიროს დიდს მითვისებული ჰქონდა ბაბილონის მეფეების ტიტულატურა. სპარსელი მეფეების მიერ ბაბილონური სამეფო ტიტულატურის გამოყენება გამომხატველი უნდა ყოფილიყო მათი სურვილისა – დაეკმაყოფილებინათ ბაბილონელთა მოლოდინი და ამის შესა-

¹ რ. თომსონისეული თარგმანის მიხედვით: *“His wife Guranduxt was the daughter of At’rak, chief of the Kipchaks, that is, of the Huns. With their assistance he subjected the king of Ossetia. He took hostages from them and made peace between the Ossetes and Huns”* (იხ. R. W. Thomson, დასახ. ნაშრ., გვ. 325, 326; აგრეთვე, გვ. xlvii). რ. თომსონი შენიშნავს, რომ ძველი სომეხი ავტორები ხშირად იყენებენ ამ ტერმინს, მაგ. ელიშე ქუშანებსაც „ჰუნებს“ უწოდებდა (R. W. Thomson, დასახ. ნაშრ., გვ. 325, შენ. 29).

² *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 17: 11–13.

³ დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, გვ. 335: 16–20; შდრ. J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 36.

⁴ გ. არახამია მართებულად შენიშნავს, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში ფაქტობრივად მთლიანად მოიცვა XI საუკუნისათვის არსებული მთელი ქართული ისტორიოგრაფიული მემკვიდრეობა, რის შედეგადაც მის ტექსტში შეინიშნება სტრუქტურული სიჭრელე და ერთმანეთისაგან ქრონოლოგიურად საკმაოდ დაშორებული მოვლენების თანაარსებობა (გ. არახამია, დასახ. ნაშრ., გვ. 181).

⁵ იხ. კ. კეკელიძე, ძველი მწერლობა, გვ. 504, 505; კ. კეკელიძე, ითრუჯანი (ცდა მისი ეტიმოლოგიის გარკვევისა), *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. I (თბილისი, 1956), გვ. 269.

⁶ შდრ., მაგ., Strabo XVI, 1, 6; Pliny, *n.h.*, VI, 123; Diodorus XVII, 112, 2; Arrian III, 16, 5; შდრ. P. Briant, დასახ. ნაშრ., გვ. 722, 725, 726, 854, 862.

⁷ A. Cahill, *Paradise Rediscovered: The Roots of Civilisation*, vol. 2 (Brisbane: Carindale, Qld., 2012), p. 564.

⁸ იხ., მაგ., Justin XII, 13, 3–5; იხ. P. Briant, დასახ. ნაშრ., გვ. 725.

⁹ *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, გვ. 341: 3–5. ლეონტი მროველის „ნინოს მიერ ქართლის მოქცევის“ მიხედვით: „*ეგე არმაზ ქართველთა და ქალდეველთა ღმერთი ითრუჯან ყოვლადვე მტერ არიან. ამან მას ზედა ზღუად მოადგინა, და მან ამას ზედა ეხვეითარი ურვა მოაწია, ვითარ აქუს ჩუეულება სოფლის მპერობელთა*...“; იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, *ქართლის ცხოვრება*, ტომი I, ტექსტი დადავნილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), გვ. 106: 21–107: 1, 2; შდრ., აგრეთვე, გვ. 91: 18–92: 1, 2.

ბამისად საკუთარი ძალაუფლებისათვის მეტი ლეგიტიმაცია შეეძინათ¹. კიროსი განიხილებოდა ღვთაება მარდუკის მიერ ქვეყნის სამართავად დადგენილ ბაბილონის მეფედ². ჯერ კიდევ ძვ. წ. 539 წლის 12 ოქტომბერს დანებებულ ბაბილონში 9 ნოემბერს დიდი ზარ-ზეიმით შესულმა კიროსმა დაიმსახურა ბაბილონელების მხარდაჭერა, როგორც ძველი რელიგიური წესების აღმდგენელმა და საკულტო ტრადიციების უწყვეტობის მომხრემ; კერძოდ, მან აღიარა მარდუკი ბაბილონელებისა და, როგორც ჩანს, არა მხოლოდ მათ, უზენაეს ღვთაებად, აღუდგინა მოსახლეობას მანამდე ათი წლის განმავლობაში აკრძალული საახალწლო დღესასწაულები, ხოლო თავისი ძე ბაბილონის მეფედ აკურთხა³.

როგორც ვხედავთ, ქალდეელებისა და სპარსელების გაიგივება თითქმის უკლებლივ რელიგიურ და პოლიტიკურ სფეროებს მოიცავს და არ ეხება მათ ტომობრივსა თუ ეთნიკურ კუთვნილებას; ამ მხრივ განსაკუთრებით დამახასიათებელია თვით კ. კეკელიძის მიერ მითითებული „დანიელის წინასწარმეტყველების“ ტექსტისეული: „*დარიოს ქსერქსეს ძე, მოდგმით მიდიელი, ქალდეელთა სამეფოზე გამეფდა*“⁴. შესაბამისად ამისა, ვფიქრობ, ცხადი უნდა იყოს, რომ ღვთაება „ითრუშანას“ „ქალდეელობაც“ არ უნდა სცდებოდეს რელიგიურ-პოლიტიკურ სფეროს და არ უნდა გვაძლევდეს იმის თქმის საშუალებას, რომ ტერმინ „ქალდეელით“ ძველ ქართულ ლიტერატურაში, როგორც წესი, „სპარსელები“ აღინიშნებოდნენ.

„ქალდეელთა“ ღვთაების სახელწოდება – „ითრუშანა/ითრუჯანი“ უნდა მომდინარეობდეს მაზდეანთა ცეცხლის დასანთები სამლოცველოს, ე. წ. „ათეშვას“, კ. კეკელიძის მიერ გამოყენებული ტერმინით „საცეცხლოს“⁵, ანუ „დანთებული ცეცხლის ადგილის“ პართული სახელწოდებიდან **atarōšan*, რომელმაც სომხურ ენაში თავი შემოინახა „ატრუშან/ატროშან“-ის ფორმით⁶. შესაბამისად, ამ გარემოების გათვალისწინებით უფრო ადვილად გასაგები ხდება, თუ რატომ არის, რომ არმაზმა „*მის ზედა ზღუა მოადგინის*“: კ. კეკელიძე შენიშნავდა, რომ „ითრუჯანი“ უნდა მივიჩნიოთ ისეთი სტიქიონის ღვთაებად, რომელიც წყლით შეიძლება მოსპობილ იქნეს⁷.

ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, მეტად რთული საგარაუდო ხდება, რომ „ქალდეელთაგან გამოსხმულ ჰონებში“ ნაგულისხმევი ყოფილიყვნენ თითქოს „სპარსელთაგან“ გამოქცეული და ქართლში დამკვიდრებული ჰუნები. შესაბამისად ამისა, ვფიქრობ, ძალაში უნდა დარჩეს ე. თაყაიშვილის კონიექტურა, რომლის თანახმადაც, „მოქცევა ქართლისად“-ს დედანში ქალდეელთაგან „გამოსხმულ/გამოყრილი“ „ჰურიანნი“ დაქარგმებული უნდა ყოფილიყო როგორც „ჰონი“⁸. მითუმეტეს, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ „მოქცევა ქართლისად“-ს „ჰონთა“ ნაცვლად, მათ შესატყვის ადგილას „ურიებს“ ასახელებს⁹. ამასთან დაკავშირებით, ყუ-

¹ J. P. Nielsen, "I Overwhelmed the King of Elam": Remembering Nebuchadnezzar I in Persian Babylonia, *Political Memory In and After the Persian Empire*. Jason M. Silverman and Caroline Waerzeggers (eds.). Society of Biblical Literature; Ancient Near East Monographs, no. 13 (Atlanta: SBL Press, 2015), p. 65.

² G. de Breucker, Heroes and Sinners: Babylonian Kings in Cuneiform Historiography of the Persian and Hellenistic Periods, *Political Memory In and After the Persian Empire*. Jason M. Silverman and Caroline Waerzeggers (eds.). Society of Biblical Literature; Ancient Near East Monographs, no. 13 (Atlanta: SBL Press, 2015), p. 88.

³ R. J. van der Spek, დასახ. ნაშრ., გვ. 451-453, 458, 460. მართალია, კიროსმა მშვიდობა დაამყარა ბაბილონში, ოღონდ საკუთარი ინტერესებიდან და პირობებიდან გამომდინარე (ე. წ. *Pax Cyriaca*), საბოლოო ჯამში კი ბაბილონი მან აქემენიანთა იმპერიის ერთ-ერთ რიგით პროვინციად გადააქცია; ალექსანდრესგან განსხვავებით, მას არასოდეს უფიქრია ბაბილონის გამოცხადება თავის ახალ დედაქალაქად (R. J. van der Spek, დასახ. ნაშრ., გვ. 451, 460).

⁴ *წინასწარმეტყველება დანიელისა*, 9: 1; იხ. კ. კეკელიძე, ძველი მწერლობა, გვ. 505; კ. კეკელიძე, ითრუჯანი..., გვ. 269.

⁵ კ. კეკელიძე, ითრუჯანი..., გვ. 269.

⁶ იხ. S. Wikander, *Feuerpriester in Kleinasien und Iran* (Lund, 1946), S. 98; M. Boyce, On the Zoroastrian Temple Cult of Fire, *Journal of the American Oriental Society*, vol. 95, no. 3, 1975, p. 456; შდრ., აგრეთვე, მ. ანდრონიკაშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. 225. კ. კეკელიძის აზრით, ეს ტერმინი ნაწარმოები უნდა იყოს ქართულ ნიადაგზე ფონეტიკურად სახემცველი და ცეცხლის მნიშვნელობის მქონე ფალაური „ატრუშან/ატროშან“-იდან, ვინაიდან, იგი უკვე გვხვდება იაკობ ხუცესის V ს. თხზულებაში „შუშანიის წამება“: „საწყალობელ იქმნა უბადრუკი ვარსკენ, რამეთუ უვარყო ჭეშმარიტი დმერთი და აღიარა ატროშანი“ (კ. კეკელიძე, ითრუჯანი..., გვ. 268-270).

⁷ კ. კეკელიძე, ითრუჯანი..., გვ. 268-270.

⁸ ე. თაყაიშვილი, *სამი ისტორიული ხრონიკა* (ტფილისი, 1890), გვ. CI. ჯანაშიას ეს მოსაზრება მისაღებად მიიჩნედა იმის გამო, რომ „ჰონები/ჰურიანი“ ქალდეელებთან, ე. ი. ბაბილონელებთან დაკავშირებით არიან მოხსენიებული (ღ. ჯანაშია, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს წყაროებისათვის, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1966), გვ. 137-138); იხ., იქვე, ღ. ჯანაშიას მოსაზრება, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ტექსტის დამოკიდებულების შესახებ „მოქცევა ქართლისად“-ს ტექსტზე (ღ. ჯანაშია, დასახ. ნაშრ., გვ. 131-143).

⁹ ფიქრობენ, რომ ქარაგმის მოხსნა (ჯერ კიდევ შატბერდული ხელნაწერის შექმნამდე) უნდა გამოეწვიოთ იმ ფაქტს, რომ ძველ ქართულ ლიტერატურაში „ჰონი“-ს სახელწოდებით ცნობილი იყვნენ ჰუნები; ეს დასტურდება იაკობ ხუცესის შუშანიის ტექსტის მეშვეობით და განპირობებული უნდა ყოფილიყო სომხურ ისტორიოგრაფიულ ტექსტებში გავრცელებული ანალოგიური სახელწოდების ზეგავლენით (J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 34). საკუთრივ ქართულში ალბათ „ჰონის“ პარალელურად უნდა გვექონოდა „ჰუნიც“, რაზედაც უნდა მიგვანიშნებდეს ფორმა „ბუნ-თურქი“ (და არა – „ბონ-თურქი“, რომელსაც მივიღებთ ზემოაღნიშნული პალეოგრაფიული ხასიათის ცდომილების შედეგად).

რადღებას იპყრობს „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ქალდეველი ჰონების“ მიერ დაკავებული მიწების ადგილმდებარეობისა და მათი აქ დამკვიდრების ხასიათისა და პირობების თითქმის სრული თანხვედრა „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს „ურიათა“ მცხეთაში დასახლების ამბავთან¹. აშკარაა, რომ ორივე ძეგლში ერთი და იგივე ამბავია აღწერილი, თუმცა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ბუნ-თურქთა უფალი“ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში „მამასახლისით“ არის შეცვლილი, რაც, ალბათ, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-სათვის დამახასიათებელი ქართველთა ავტოქტონობის კონცეფციის ზეგავლენით უნდა აიხსნას².

აღრე მიმაჩნდა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონებში“ ებრაელები არ იგულისხმებოდნენ³, თუმცა, სავარაუდოა, რომ ლეონტი მროველის ეპოქაში ჩვენზე უფრო უკეთ უნდა სცოდნოდათ, თუ ვინ იგულისხმებოდა „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონებში“ და ვინ არა. „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ცნობა ახალბაბილონური ხანის დიდი მეფის ნაბუქოდონოსორ II-ის (ზეობის წლები დაახლ. ძვ. წ. 605-562 წწ.) მიერ იერუსალიმის აღების შემდეგ „ოტეზული“ ებრაელების ქართლში დამკვიდრების შესახებ („მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტეზულნი ურიანი მოვიდეს ქართლს“)⁴ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტს უნდა იყოს დასესხებული და „ქალდეველთაგან გამოსხმული ჰონების“ განმარტებაა, ოღონდ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტში ნახსენები და ჩვენთვის უკვე გაუგებარი, უფრო ზუსტად, ჯერ დაქარაგმებული და შემდეგ ქარაგმა დაკარგული „ჰონები“, საკვებით მართებულად „ურეიბად“ არიან წაკითხული⁵. მხედველობაშია მისაღები, რომ „დანიელის წინასწარმეტყველებაში“ ნაბუქოდონოსორის ძე „ქალდეველთა მეფედ“ არის მოხსენიებული⁶. გასათვალისწინებელია ალბათ ისიც, რომ ქართველი ებრაელები, მათ შესახებ არსებული ტრადიციული წარმოდგენის მიხედვით, ბაბილონური წარმომავლობის მქონედ არიან მიჩნეულნი⁷. როგორც ცნობილია, ნაბუქოდონოსორმა, ძვ. წ. 586 წელს, მის წინააღმდეგ აჯანყების შემდეგ, იერუსალიმი (რომელიც მან ძვ. წ. 597 წ. აიღო) მიწასთან გაასწორა, ხოლო ადგილობრივი მოსახლეობის რჩეული ნაწილი (მეომრები, ხელოსნები, სწავლულნი) იუდეის სამეფოდან („სახლი სადავითო“) ბაბილონში გადაასახლდა⁸; მან, ზოგიერთთა აზრით, ეგვიპტეშიც იმიტომ გაილაშქრა, რათა იუდეიდან ლტოლვილი ებრაელები დაეტყველებინა⁹.

„მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სეულ ქალდეველთაგან „გამოსხმულ“, ანუ არაქალდეველ, მათთვის უცხოტომელ „ჰონებში“, „გამოსხმულ/გამოყრილ“ მებროლ ხალხად მათი დახასიათების გამო, როგორც ჩანს, უნდა იგულისხმებოდნენ ქალდეველებთან დაპირისპირებული და იმავდროულად მათთან ერთად მცხოვრები მოსახლეობა. როგორც ცნობილია, ძვ. წ. I ათასწლეულის შუა ხანების ბაბილონში მცხოვრები ებრაელები უკვე სანახევროდ გაქალდეველები იყვნენ¹⁰, ეს გარემოებაც ხელს უნდა უწყობდეს „ქალდეველთაგან გამოსხმულ ჰონებში“ „ურეიბის“ დანახვის შესაძლებლობას.

¹ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს შატბერდისეული ტექსტის მიხედვით: „...მოვიდეს ნათესავნი მბროლონი, ქალდეველთაგან გამოსხმულნი, ჰონნი, და ითხოვეს ბუნ-თურქთა უფლისაგან ქვეყანად ხარკითა და დასხდეს ივინი ზანავს და ეპყრა იგი, რომელ ხარკითა აქუნდა, პრჭან მას ხერკი“ (მოქცევაჲ ქართლისაჲ, გვ. 320: 10-13), ხოლო „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს თანახმად: „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოტყუენა იერუსალემი, და მუნით ოტეზულნი პურიანი მოვიდეს ქართლსდა მოითხოვეს მცხეთელთა მამასახლისისაგან ქვეყანა ხარკითა. მისცა და დასხნა არაგუსა ზედა, წყაროსა, რომელსა პჭან ზანავი. და რომელი ქვეყანა აქუნდა მათ ხარკითა, აწ პჭან ხერკ ხარკისა მისიუს“ (ცხოვრება ქართველთა მეფეთა, გვ. 15: 23 - გვ. 16: 1-3). „ხერკად“ არის ცნობილი დღევანდელი საგურამთეხმის ხევი. ზოგიერთი მკვლევარი სახელწოდება „ზანავში“ ხედავს ძველადქმისეულ ებრაულ ტოპონიმს „ზანუსს“ („ზანოასს“), იხ. იესო ნავეს ძე, 15: 34, 56; წიგნი ნეემიასი, 3: 13 (R. Bielmeier, Sprachkontakt in der Bekehrung Kartlis, *Lingua Restituta Orientalis: Festgabe für Julius Assfalg*, R. Schulz, M. Gorg (Hrsg.) (Wiesbaden: 1990), SS. 30-44; J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 34, შენ. 19.

² გ. ქავთარაძე, *ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის* (თბილისი, 1985), გვ. 46; შდრ. გ. არაზამია, დასახ. ნაშრ., გვ. 186-189.

³ გ. ქავთარაძე, *ანატოლიაში...*, გვ. 46.

⁴ *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 15: 23, 24.

⁵ ის გარემოება, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ჰონებს“ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“ ერთმნიშვნელოვნად „ურეიბად“ მიიჩნევს, არაერთხელ იყო მინიშნებული სამეცნიერო ლიტერატურაში, იხ., მაგ., ე. თაყაიშვილი, დასახ. ნაშრ., გვ. CI; მ. სანაძე, საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს მიხედვით, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, IX (თბილისი, 2000), გვ. 31-33; და სხვ.

⁶ „ამის დამესა შინა მოიკლა ვალტასარ, მეფე ქალდეველთა“ (წინასწარმეტყველება დანიელისა, 5: 30); შდრ. სიტყვები თქმული, იქვე, ვალტასარის მისამართით: „მეფე, ღმერთმან მაღალმან მეფობა, და სიდიდე და პატივი, და დიდება მისცა ნაბუქოდონოსორს, მამასა შენსა“ (5: 18).

⁷ იხ. J. Gippert, დასახ. ნაშრ., გვ. 33.

⁸ ოსებ ფლავიუსი, *იუდეის სიძველენი*, 8: 6-8.

⁹ D. J. Wiseman, *Nebuchadrezzar and Babylon* (London: Published for the British Academy by Oxford University Press, 1991), pp. 38, 39.

¹⁰ იხ., მაგ., W. Drummond, On the Science of the Egyptians and the Chaldeans, part II, *The Classical Journal*, for September and December 1817, vol. XIV, no. XXXII, 1817, p. 271.

ცენტრალურ ამიერკავკასიაში, ქართლში მოსახლეობის გადმონაცვლების დაკავშირება ნაბუქოდონოსორ II-ის სახელთან არ არის მხოლოდ „მეფეთა ცხოვრებისათვის“ ცნობილი, ამ საკითხთან მიმართებაში, ალბათ, გასახსენებელია მოვსეს ხორენაცის ლეგენდარული ცნობაც ნაბუქოდონოსორის მიერ „შორეული დასავლეთის“ ქვეყნებიდან (ლიბია, პირენეს იბერია) ტყვედ წამოყვანილი და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დასახლებული „ივერიელების მოდგმის“ შესახებ. მოვსეს ხორენაცი ახ. წ. II საუკუნის ბერძენი მწერლის აბიდენოსის სიტყვებზე დაყრდნობით აცხადებს: „ამის შესახებ აბიდენოსი ამბობს: „*ძლევა მოსილმა ნაბუქოდონოსორმა, რომელიც პერაკლეზე უფრო ღონიერი იყო, შეჰყარა ჯარი და მიადწია ლიბიელთა, აგრეთვე [ივერიელთა ქვეყნებს, შემუსრა და დაიმორჩილა ისინი, მათი ერთი ნაწილი წამოასხა იქიდან და პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დაასახლა*“ [ივერია ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს¹]. ვინაიდან, მოვსეს ხორენაცი შენიშნავს, რომ ივერია (ვერია) ქვეყნიერების დასავლეთ საზღვარზე მდებარეობს, აშკარა ხდება, რომ ივერიაში იგი პირენეს ნახევარკუნძულს გულისხმობდა. მოვსეს ხორენაცის გადმოცემითვე, დარეკის (იგულისხმება დარიოს III) ნახარარი მიპრდატი წამოიყვანა ალექსანდრე დიდმა და მთავრად დაუსვა სწორედ ნაბუქოდონოსორის მიერ ლიბიელთა და ივერთა ქვეყნებიდან ტყვედ მოყვანილ და, როგორც ითქვა, პონტოს ზღვის მარჯვენა მხარეს დასახლებულ ივერიელთა მოდგმას, ხოლო მის ნაშეიერს, ასევე მიპრდატს სომეხთა მეფემ არტაშესმა ჩრდილოეთის მთებისა და პონტოს გამგებლობა მიანდო².

ამასთან შედარებით თითქოს უფრო ლოგიკური ჩანს ქართული ტრადიცია, რომელიც სტრაბონის, დიონისიოს პერიეგეტის, სოკრატე სქოლასტიკოსისა და სხვათა მსგავსად და აბიდენოსის, ევსები კესარიელის, მოვსეს ხორენაცისა და სხვათა მონაცემებისაგან განსხვავებით, პირენეებიდან იბერიელთა ლეგენდარულ გადმოსახლებას ნაბუქოდონოსორის ლაშქრობას არ უკავშირებს და, გარდა ამისა, მართებულად მიიჩნევს, რომ ბაბილონის მეფეს არა „შორეული დასავლეთი“, არამედ იერუსალიმი უნდა დაელაშქრა (იხ. ქვემოთ)³. თუმცა, მხედველობაშია მისაღები, რომ მოვსეს ხორენაცისათვისაც, ამავე დროს, ცნობილია, რომ ნაბუქოდონოსორი ებრაელთა დამტყვევებელიცაა; მისივე ცნობით, თითქოსდა ნაბუქოდონოსორის თანამედროვე სომეხთა მეფემ პრაჩიამ ნაბუქოდონოსორს სთხოვა დატყვევებულ ებრაელთა ერთი მეთაურთაგანი, სახელად შამბათი მის ქვეყანაში დაესახლებინა და რომ თითქოს მისგან მომდინარეობს ბაგრატუნთა გვარი⁴.

ცნობა შავიზღვისპირეთში შორეული დასავლეთიდან იბერების გადმოსახლების თაობაზე შემონახულია ევსები კესარიელის (დაახლ. 263-339 წწ.) თხზულებებში. ამასთან დაკავშირებით, პირველ რიგში უთითებენ ხოლმე მის მიერ 314-318 წწ. დაწერილ ნაწარმოებს „სახარებისადმი წინამომზადებას“ (*Praeparatio Evangelica*)⁵, სადაც ნათქვამია: „*ვპოვე მე აგრეთვე აბიდენოსის თხზულებაში „ასურელთა შესახებ“ ნაბუქოდონოსორზე შემდეგი: „მეგასთენე ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორი პერაკლეზე უფრო ძლევა მოსილი იყო, ლიბიასა და იბერიაზე გაილაშქრა, დაეუფლა და მათი ნაწილი პონტოს მარჯვნივ დაასახლა*“⁶. რამდენიმე წლით უფრო ადრე, 308-311 წწ. დაწერილ „ქრონიკების“ (*Παντοδμή Ιστορία*, – „უნივერსალური ისტორია“) პირველ წიგნში – „ქრონოგრაფია“ (*Χρονογραφία*) ევსები კესარიელი ასევე გადმოგვცემს, რომ „*აბიდენოსი ნაბუქოდონოსორს პერაკლეზე ძლევა მოსილად მიიჩნევს, როდესაც წერს შემდეგს: მეგასთენე ამბობს, რომ ნაბუქოდონოსორი პერაკლეზე ძლევა მოსილი იყო, მან თავისი ჯარები შორს ლიბიამდე და იბერიაში მიუშვა. დაიპყრო ეს ქვეყნები და მათი მოსახლეობის ნაწილი ევქსინის ზღვის მარჯვენა ნაპირზე დაასახლა*“⁷.

როგორც ვხედავთ, დამთხვევა მოვსეს ხორენაცისა და ევსები კესარიელის ტექსტებს შორის ძალზე დიდია. შესაბამისად, მკვლევართა შორის უკვე დიდი ხანია სრული თანხმობაა, რომ მოვსეს ხორენაცის მიერ მოტანილი აბიდენოსის ცნობა ალბათ უნდა იყოს ევსები კესარიელის „ქრონიკების“ სომხური თარგმანიდან.

¹ მოვსეს ხორენაცი, II, 8; იხ. ა. აბდალაძე, მოვსეს ხორენაცი. *სომხეთის ისტორია*. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ (თბილისი, 1984), გვ. 107.

² მოვსეს ხორენაცი, II, 8, II; იხ. ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 106, 107, 111.

³ შდრ. გ. ქავთარაძე, „არიან-ქართლის“ საკითხისათვის, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, IX, 2009, გვ. 36.

⁴ მოვსეს ხორენაცი, I, 22; იხ. ა. აბდალაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 86-87 შენ.

⁵ A. Carriker, *The Library of Eusebius of Caesarea. Texts and Studies of Early Christian Life and Language*, vol. LXVII (Leiden/Boston, 2003), p. 39.

⁶ Eusebii Pamphili. *Evangelicae praeparationis*, IX, 41, 1-3; იხ. გ. მელიქიშვილი, ძველი ქართული, სომხური და ბერძენული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე*, 1962, № 2, გვ. 231.

⁷ Des Eusebios, *Chronographie*, I, 40, 41.

ზემოხსენებული მეგასთენე (დაახლ. ძვ. წ. 350-290 წწ.) მცირეაზიელი ბერძენი ისტორიკოსი, გეოგრაფი და დიპლომატი, „ინდოეთის ისტორიის“ (*Ἰνδική*) ავტორია. მეგასთენეს ცნობა იბერთა შესახებ მეტად პოპულარული იყო არა მხოლოდ ძველბერძნულ და რომაულ ლიტერატურაში, იგი გავრცელებული იყო აღმოსავლეთშიც, კერძოდ სირიულ და, როგორც ვნახეთ, სომხურ ლიტერატურაში. ითვლება, რომ მეგასთენესთან გვხვდება ყველაზე ადრეული ცნობა კავკასიელი იბერების შესახებ¹. ეს ცნობა, რა თქმა უნდა, ლეგენდარულია. ამ საკითხთან მიმართებაში გასათვალისწინებელია გ. მელიქიშვილის მოსაზრება, რომ მეგასთენეს ცნობაში ნაბუქოდონოსორის მიერ ლიბიისა და იბერიის დალაშქრებისა და იქიდან წამოყვანილი ტყვე-იბერების პონტოს მარჯვნივ მდებარე მხარეში დასახლების თაობაზე, შესაძლოა ასახული იყოს რეალური ინფორმაცია ნაბუქოდონოსორის მიერ ებრაელთა სამშობლოდან აყრის შესახებ².

თუ იბერიის ნახევარკუნძული ვერ იქნებოდა ნაბუქოდონოსორის დაშქრობის ობიექტი და ამ ცნობაში ასახულია ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღება, გასარკვევი ხდება, „იბერიით“ იუდეის ჩანაცვლება უკვე მეგასთენეს ტექსტში გვხვდება თუ პირველად უფრო გვიანდელი ხანის ავტორთა თხზულებებში ჩნდება. ყოველ შემთხვევაში, მეგასთენესა და ალექსანდრე მაკედონელის თანამედროვე ბაბილონელი ისტორიკოსი ბეროსი (*Βήρωσις*) (დაახლ. ძვ. წ. 340-270 წწ.), რომლის სამტომეულის – „ბაბილონიკის“ (*Βαβυλωνικά*) ფრაგმენტები, მეგასთენეს „ინდიკის“ მსგავსად, სხვადასხვა ძველ ავტორთა თხზულებებშია შემონახული, როგორც ირკვევა, იუწყებოდა ნაბუქოდონოსორის მიერ მხოლოდ იუდეის დაპყრობის, იერუსალიმის ტაძრის დანგრევისა და ებრაელთა ტყვედ წაყვანის შესახებ³.

უადრესად მნიშვნელოვნად მიგვაჩნია ის გარემოება, რომ სტრაბონი (დაახლ. ძვ. წ. 64-ახ. წ. 24 წწ.), რომელიც, ერთი მხრივ, სწორედ მეგასთენეზე დაყრდნობით გვამცნობს ნაბუქოდონოსორის დაშქრობის თაობაზე „ჰერკულესის სვეტებამდე“, იგივე გიბრალტარის სრუტემდე, ანუ პირენეს იბერიაში და დასძენს, რომ ქალდეველებს (ანუ ბაბილონელებს) იგი უფრო ძლევამოსილად მიაჩნდათ, ვიდრე ბერძნებს ჰერკულესი⁴, ხოლო მეორე მხრივ, ინფორმირებულია დასავლეთის იბერთა გადმოსახლების შესახებ პონტოსა და კოლხეთის გადაღმა მდებარე მხარეში⁵, ამ ორ მოვლენას, მეგასთენესთვის მიწერილი ტექსტისგან განსხვავებით, ერთმანეთს არ უკავშირებს და შესაბამისად არ თვლის, რომ აღმოსავლელი იბერები პირენეს იბერიიდან ნაბუქოდონოსორის მიერ არიან ტყვედ წამოყვანილი კავკასიაში.

აღსანიშნავია, რომ არც დიონისიოს პერიეგეტი (ახ. წ. II ს. პირველი ნახევარი), რომელიც იზიარებს შეხედულებას კავკასიის იბერთა დასავლეთიდან გადმოსახლების თაობაზე და გვამცნობს, რომ „იბერთა აღმოსავლური ტომი... ოდესღაც პირენედან მოვიდა აღმოსავლეთში“⁶ და არც ბერძნული წარმომავლობის რომაელი ისტორიკოსი აპიანე ალექსანდრიელი (დაახლ. 95-165 წწ.), რომელიც იცნობს, მაგრამ არ იზიარებს ამ მოსაზრებას და თვლის, რომ „ვეროპისა და აზიის იბერები მხოლოდ თანამოსახლე ტომები არიან, რადგან არც ენა აქვთ მსგავსი და არც ზნე-ჩვეულებები“⁷, არაფერს ამბობენ ნაბუქოდონოსორთან ამ მოვლენის კავშირის შესახებ. ასევე, არც სოკრატე სქოლასტიკოსი მოიხსენიებს ნაბუქოდონოსორს, დაახლ. 340 წ. შემდეგ დასრულებულ „ეკლესიის ისტორიაში“ (*Historia Ecclesiastica*), როდესაც გვამცნობს, რომ კავკასიის იბერები ესპანეთის იბერთაგან არიან გამოსულნი⁸.

როგორც ჩანს, დასავლეთის იბერების აღმოსავლეთში გადმოსახლების თაობაზე არსებულმა შეხედულებამ, რომელიც ძირითადად ორი იბერიის სახელწოდებების იდენტურობის საფუძველზე იყო აღმოცენებული, თავის მხრივ განაპირობა ნაბუქოდონოსორის მიერ ვითომდა დალაშქრული „ჰერკულესის სვეტების“ მხარიდან, ანუ პირენეს იბერიიდან და ლიბიიდან, დატყვევებული მოსახლეობის პონტოს აღმოსავლეთით გადმოსახლების თაობაზე ლეგენდის ჩამოყალიბება.

¹ ვ. ვაშაკიძე, ტერმინები „იბერია“ და „იბერები“ ანტიკურ წყაროებში, *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, რედ.: გ. პაიჭაძე (თბილისი, 1993), გვ. 67.

² Г. А. Меликишвили, *История древней Грузии* (Тбилиси, 1959), с. 281.

³ R. Gray, *The Connection Between the Sacred Writings and the Literature of Ancient Jewish and Heathen Authors, Particularly that of the Classical Ages, Illustrated, Principally with a View to Evidence in Confirmation of the Truth of Revealed Religion*, vol. I (Pall-Mall: St Paul's Church-Yard, and Waterloo-Place, 1819), p. 40.

⁴ Strabo, XV, 1, 6.

⁵ Strabo, I, 3, 21.

⁶ Dionysios, 696-699.

⁷ Appian's *History of Rome*, 101.

⁸ Socrates Scholasticus. *Historia Ecclesiastica*, I, 25; об. Ph. Schaff (ed.), *Socrates and Sozomenus Ecclesiastical Histories* (New York, 1886); შდრ. კ. კეკელიძე, მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, კ. კეკელიძე, *ქრ-იუდეები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. VI (თბილისი, 1960), გვ. 12: „იბერები ცხოვრობენ ეკსიხის პონტოს სანაპიროებზე“ (I, 20).

ვინაიდან მეგასტენეს ზემოთყვანილი ციტატა ნაბუქოდონოსორის მიერ დასავლეთის იბერიიდან და ლიბიიდან წამოყვანილი მოსახლეობის პონტოს მარჯვნივ დასახლების თაობაზე მხოლოდ ევსები კესარიელის თხზულებებში გვხვდება, რომელსაც იგი აულია აბიდენოსის თხზულებიდან „ასურელთა შესახებ“ (*Περὶ τῶν Ἀσσυρίων*)¹, არ არის გამორიცხული, რომ ამ ცნობის ფართოდ გავრცელება აბიდენოსის ხანიდან (ანუ ახ. წ. II საუკუნიდან) ხდებოდა². მხედველობაში ვიღებთ იმ გარემოებას, რომ სტრაბონისა და დიონისიოს პერიეგეტს გარდა, არც იოსებ ფლავიუსთან (დაახლ. 37-95 წწ.) – ებრაული წარმომავლობის რომაელ ისტორიკოსთან (რომლის თხზულებაშიც „იუდეის სიძველენი“ (*Antiquitates Judaicae*) ასევე გვხვდება მეგასტენეს ცნობა ნაბუქოდონოსორის შორეულ დასავლეთში ლაშქრობის თაობაზე) არაფერია თქმული ამ უკანასკნელის მიერ დასავლეთის იბერიისა და ლიბიელების პონტოს მარჯვნივ ანუ აღმოსავლეთით გადმოსახლების თაობაზე; ნათქვამია მხოლოდ ის, რომ მეგასტენე „ინდიკის“ IV წიგნში ცდილობს ყველასათვის თვალსაჩინო გახადოს ჰერაკლესთან შედარებით ნაბუქოდონოსორის მეტი გამბედაობა და მიღწევათა სიღიადე, ვინაიდან მან ლიბია და თვით იბერია დაიპყრო³.

საყურადღებოა, რომ თავისი სხვა თხზულების – „აპიონის წინააღმდეგ“ (*Contra Apionem*) პირველ წიგნში⁴, იოსებ ფლავიუსი, ბეროსის ცნობის მოხმობისას, თითქოს გარკვეულ ეჭვსაც კი გამოთქვამს მეგასტენეს ცნობის სანდოობის მიმართ; იგი ჯერ გვამცნობს, რომ ბეროსი იუწყებოდა ნაბუქოდონოსორის მიერ მთელი სირიისა და ფინიკიის დაპყრობას, ხოლო მეგასტენეს მიერ ნაბუქოდონოსორისათვის ჰერაკლესთან შედარებით უფრო მეტი ძლევამოსილებისა და სიღიადის საჩვენებლად, ლიბიის დიდი ნაწილისა და აგრეთვე დასავლეთის იბერიის დაპყრობის მიწერისას, შენიშნავს, რომ, როგორც მას (იოსებს) ადრეც აღუნიშნავს, ბაბილონელებმა იერუსალიმი აიღეს და მისი ტაძარი გადაწვეს. იოსებ ფლავიუსისეულ ტექსტში თავჩენილი ეს თითქოსდა შეუსაბამობა, როდესაც ლიბიისა და იბერიის დაპყრობის შესახებ საუბრისას ავტორი, ყოველგვარი განმარტების გარეშე, უეცრად ბაბილონელთა მიერ იერუსალიმის აღებაზე გადადის, ჩემი აზრით, დამაფიქრებელია და, შესაბამისად, ნაბუქოდონოსორ II-ის მიერ გადმოსახლებული „ტყვე იბერების“ გაიგივებაც „ურიებთან“ სულაც არ უნდა ჩანდეს საფუძველს მოკლებული, ამჯერად უკვე „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს მონაცემებზე დაყრდნობის გარეშეც (უფრო ვრცლად იხ., ქვემოთ).

მაგრამ რას უნდა გამოეწვია ნაბუქოდონოსორის ლაშქრობის შესახებ გადმოცემის ფიქსირება პირენეს ანუ დასავლეთის იბერიისა და ლიბიის მიმართ? როგორც ჩანს, მეგასტენეს ხანისათვის არსებული გეოპოლიტიკური ვითარებიდან და საზოგადოდ ელინისტური ხანისათვის დამახასიათებელი სამყაროს უფრო ფართო, გლობალური ხედვიდან გამომდინარე, ებრაელებთან დაკავშირებული ძველი სახელწოდება *eber*-ი გააზრებული იქნა „იბერიად“ ანუ პირენეს იბერიის აღმნიშვნელად და შესაბამისად ამისა, ბაბილონის მეფის მიერ „ებერთა ქვეყნიდან“ დატყვევებული მოსახლეობის წამოყვანის შესახებ გადმოცემა, იუდეის ქვეყნისა და ეგვიპტეს ნაცვლად, უკვე პირენეს იბერიისა და მისი მომიჯნავე აფრიკის ანუ ლიბიის მიმართ დაფიქსირდა. არ არის გამორიცხული, რომ ევროპის უკიდურეს დასავლეთში ნაბუქოდონოსორის ლაშქრობის ამბის შეთხზვით მომხდარიყო ალექსანდრე მაკედონელის მიერ ახლო და შუა აღმოსავლეთის დაპყრობის გამართლებაც და გარკვეული ლეგიტიმაციაც.

¹ E. A. Schwanbeck, J. W. McCrindle, *Ancient India as Described by Megasthenés and Arrian*. Being a translation of the fragments of the Indika of Megasthenés collected by Dr. Schwanbeck, and of the first part of the Indika of Arrian by J. W. McCrindle (Calcutta, 1877), pp. 113, 114; შდრ. A. Carriker, დასახ. ნაშრ., გვ. 53.

² იმასაც ფიქრობენ, რომ ცნობა ნაბუქოდონოსორის მიერ მოსახლეობის პონტოს გადმოღმა გადმოსახლების შესახებ აბიდენოსს არა უშუალოდ მეგასტენესგან უნდა ჰქონოდა აღებული, არამედ ალექსანდრე პოლიპისტორის თხზულებიდან (გ. მელიქიშვილი, *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის* (თბილისი, 1965), გვ. 9). გასათვალისწინებელია, რომ ალექსანდრე პოლიპისტორი აბიდენოსთან შედარებით უფრო ადრეული ხანის – ძვ. წ. I საუკუნის პირველი ნახევრის მოღვაწე იყო. იგი წარმომავლობით მიღებული იყო, მითრიდატესთან ომების დროს ტყვედ ჩავარდნილა და რომში წაუყვანიათ. როგორც ანატოლიელსა და მითრიდატე პონტოელის მიერ წარმოებული ომების მონაწილეს, შავიზღვისპირეთიც უნდა სცოდნოდა და გარკვეული წარმოდგენაც ჰქონოდა კავკასიელ იბერებზე. მას მიეკუთვნება მთელი რიგი ისტორიული და გეოგრაფიული შინაარსის თხზულებების (A. Carriker, დასახ. ნაშრ., გვ. 139) და სავსებით შესაძლებელია, რომ მომდევნო ხანის მწერალთა ინფორმაცია პირენესა და კავკასიის იბერების ურთიერთმიმართების თაობაზე (Strabo, I, 3, 21; Dionysios, 697-699; Appian's *History of Rome*, 101 და ა.შ.) სწორედ მისგან იღებდეს სათავეს.

³ *იუდეის სიძველენი*, X, ii, 1.VIII საუკუნის მეორე ნახევრისა და IX საუკუნის დასაწყისის ბიზანტიელი მემატიანე გეორგიოს სინკელოსთანაც შემონახულ მეგასტენეს ფრაგმენტშიც მხოლოდ ჰერაკლესთან მიმართებით არის ნაბუქოდონოსორის მეტი ღირსებებზე, ლიბიის დიდი ნაწილისა და იბერიის დაპყრობაზე საუბარი (E. A. Schwanbeck, J. W. McCrindle, დასახ. ნაშრ., გვ.112, 113).

⁴ Flavius Josephus. *Contra Apionem*, I, 20; იხ. D. Labow, Flavius Josephus. *Contra Apionem*, Buch I. Einleitung, Text, kritischer Apparat, Übersetzung und Kommentar von Dagmar Labow (Stuttgart, 2005).

მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ ფართოდ გამოყენებული ეთნონიმი „ებრაელი“ მიღებულია ბიბლიის თარგმანთან ერთად ბერძნულში შესული ებრაელთა აღმნიშვნელი ტერმინებისაგან: *Eβρα* და *Eβραϊος*. ეს სახელი გვხვდება „დაბადების“ ტექსტში: „ეთა ებერის-თასა“ სახით¹; იმავე ფორმით – „ებერი“ – წარმოდგენილია „ახალ აღთქმაშიც“, „ლუკას სახარების“ ტექსტში². გარდა ამისა, იგი გვხვდება ახ. წ. VII საუკუნის ავტორის, მაქსიმე აღმსარებლის თხზულების „ნეტარისა თაღასეს მიმართ“ ექვთიმე მთაწმინდელისეულ ქართულ თარგმანში: „...სახელები ნათესავთა მათ ესე არს... მეექვსე ებერ, რომლისაგან [არიან] ებრაელნი“³. როგორც ვხედავთ, ეთნონიმ „იბერთან“ მიმსგავსებული სახელწოდება „ებერი“ (*Éber/Éber*) ებრაელთა წინაპრისა და ეპონიმის აღმნიშვნელია.

აღსანიშნავია, რომ სახელწოდება „იბერია“ ზოგიერთი მეცნიერი (პლ. იოსელიანი, ალ. ხახანაშვილი) იმ ებრაული სიტყვიდან წარმომდგარად მიიჩნევა, რომელიც უნდა აღნიშნავდეს ცნებას – „იქითა მხარე“ (მთის იქითა მხარე – კავკასიის იბერია, ზღვის იქითა – პირენეებისა)⁴. ებრაული ზოგადი სახელი *éber* – „იქითა მხარე“, კ. წერეთლის მიხედვით, ამოსავალია თვით ტერმინისათვის *ibrī* – „ებრაელი“, ისევე, როგორც სახელისათვის – *ებერი*, რომელიც ებრაულში ტერმინ „ებრაელის“ ამოსავალ – „იქითა მხარეს“ აღნიშნავს (მსგავსად ქართული „იმერი“ > „იმერელისა“)⁵. ხოლო ა. სარჯველაძე ყურადღებას ამახვილებს „ძველ აღთქმაში“ მოყვანილ ქანაანელთა მიერ გამოყენებულ ებრაელთა სახელწოდებაზე – *ibrī* და შენიშნავს, რომ ძველებრაულში სიტყვა – *éber* ეწოდებოდა ადგილს, რომელიც მდებარეობდა მდინარის ან ზღვის გაღმა. მისი აზრით, ძველ ფინიკიელებს შეეძლოთ ეწოდებინათ როგორც ზღვის გადაღმა – ესპანეთის სამხრეთ-აღმოსავლეთ სანაპიროსათვის, ასევე მცირე კავკასიონის ქედის გადაღმა (*éber*) მდებარე მხარისათვის – „იბერია“⁶. შესაძლოა, საკუთრივ ებრაელთა დასახელებაც მდინარე ევფრატს თუ იორდანეს გაღმა გადასულს ნიშნავდეს⁷. არც ის არის ალბათ გამოსარიცხი, რომ ხურიტული ძირი იყოს საძიებელი ებრაელთა აღმნიშვნელ სახელწოდებებში *ibrī* და *uriah*⁸. რაც შეეხება კავკასიის იბერთა სახელწოდებას, ენათმეცნიერთა აზრით, ამოსავალი ფუძე უნდა იყოს *ჰპერ-/სპერ, ახლომდგომი თუ ანალოგიური ისტორიული სამხრეთ-დასავლეთი საქართველოს

¹ დაბადება, 10: 21: „...და სემისსა იშუნეს მისდაცა მამისა ყოველთა, ძეთა ებერისთასა...“; იხ. ელ. დონანაშვილი, *მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი)*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დონანაშვილმა (თბილისი: „მეცნიერება“, 1981), გვ. 62; შდრ., აგრეთვე: *დაბადება*, 10: 24, 25; 11: 14-17; *რიცხუთა*, 24: 24; *პირველი ნეშტა*, 1: 18, 19, 25; 8: 12, 22; *წიგნი ნეემიასი*, 12: 20.

² *ლუკას სახარება*, 3: 35; იხ. *ახალი აღთქმა უფლისა ზეუნისა იესო ქრისტესი*. დაიბეჭდა ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევითა უწმიდესისა და უნეტარესისა სრულიად საქართველოვს კათალიკოს-პატრიარქის ეფრემ II-სათა, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა (თბილისი, 1963), გვ. 128.

³ კ. კეკელიძე: ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველს ქართულ მწერლობაში (*Liber Generationis*-ის ქართული ვერსია), კ. კეკელიძე: *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, I (თბილისი, 1956), გვ. 171.

⁴ იხ. Пл. Иоселиани, *Различные наименования грузинов* (Тифлис, 1846), сс. 23, 24; А. С.Хаханов, *Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии* (Тифлис, 1903), с. 31, прим. 149.

⁵ კ. წერეთელი, „ებრაელის“ აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში, *აღმოსავლეთმცოდნეობა, თბილისის უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 206, 1979, გვ. 22; შდრ. გ. ქავთარაძე, *ანატოლიაში...*, გვ. 44, 45.

⁶ ა. სარჯველაძე, კავკასიის იბერიის სახელწოდების შესახებ, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1989, № 3, გვ. 118-123.

⁷ გავიხსენოთ ებრაელთა გადასვლა იორდანეზე, *წიგნი ისო, ძისა ნავესი*, 3-4: „და აღიმხოთ ისო ვანთიად, და წარმოიდრნეს სატიმით და მოვიდეს იორდანედ ოდენ. და დადგეს მუნ წიაღსვლამდე“ (3: 1); „რამეთუ განაჰმო უფალმან, ღმერთმან ზეუნმან, წყალი იორდანისა წინაშე მათსა, ვიდრე წიაღსვლამდე მათა“ (4: 23); იხ. ელ. დონანაშვილი, *მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული...*, გვ. 422, 425.

⁸ პალესტინის არქეოლოგიურ მასალებში ძველთაგანვე შეინიშნება ზაგროსული და აღმოსავლეთანატოლიურ-ამიერკავკასიური წარმომავლობის მოსახლეობის კვალი, რომელიც დიდი ალბათობით უმთავრესად ხურიტებსა და მათ წინაპრებს უნდა უკავშირდებოდეს. საინტერესოა ქართულ მისამღერებში შემონახული ურარტულ-ხურიტული გამოთქმები: *იერი ალაღე* (აღმოსავლეთ საქართველოში), *ურუახო/ურუახო* (გურიაში), რომლებსაც, ამავე დროს, თითქოს ებრაულ სამყაროში ეძებნებათ პარალელები. თუ „ხუროხე/ხურვოხე“ ხურიტულად ნიშნავდა „ხურიტულ ენას“, აღმოსავლეთ ამიერკავკასიის მთის ებრაელთა, ტატების ენაზე ლინგვონიმი „ჯუხური“ გამოიყენებოდა „ებრაელის“ აღსანიშნავად (შდრ. M. M. Balzer, *Religion and Politics in Russia: A Reader* (Abingdon, Oxon: Routledge, 2010), p. 159). ყურადღებას იპყრობს იმერხეში საძოვრების სახელად დადასტურებული ტოპონიმიც – „ურისაკლაი“, რომელიც ადგილობრივი ინფორმატორების ცნობით უნდა ყოფილიყო „ტურის საკლაი“ (6. ცეცხლაძე, *შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია* (ბათუმი, 2000), გვ. 216, 248). ვინაიდან, ამ რეგიონში დასტურდება ანლაუტში არა მხოლოდ დენტალური ფონემების მონაცვლეობა ნულთან, არამედ ველარულისაც, არ არის გამორიცხული, ამ ტოპონიმში იმალებოდეს „ხურის საკლაი“ ანუ „ხურიტების სამსხვერპლო ალაი“; გავიხსენოთ, აგრეთვე, უფრო აღმოსავლეთით დადასტურებული ტოპონიმი „არტანის ური“. თუმცა, ეს საკითხები, რა თქმა უნდა, საგანგებო კვლევის საგანს წარმოადგენს.

მხარის დასახელებისა – „სპერი“¹. ამავე საკითხთან დაკავშირებით ალბათ მხედველობაშია მისალეები ჯერ კიდევ ჰეროდოტეს მიერ ნახსენები ეთნონიმი „სასპერიც“².

სახელწოდებების „ებერიისა“ და „იბერიის“ შესაძლო ურთიერთმიმართების საკითხთან დაკავშირებით ამასთანავე ყურადღებას იპყრობს ბიზანტიის იმპერატორის – კონსტანტინე VII პორფიროგენეტის თხზულებაში „იმპერიის მმართველობის შესახებ“ (*De Administrando Imperio*, – დაწერილია 948-952 წწ. შორის) შემონახული ცნობა, რომ თითქოს X საუკუნის შუა ხანების კავკასიელ იბერებს (ანუ ქართველებს) თავი იერუსალიმიდან წამოსული ხალხის შტამომავლებად მიაჩნდათ და შესაბამისად გამოდის, რომ ამ იბერებს არაფერი სცოდნიათ პირენეს ნახევარკუნძულის იბერიიდან მათი წინაპრების ვითომდა გადმოსახლების თაობაზე. ამ ცნობის თანახმად: „იბერიელები მოგვითხრობენ, რომ მათი ტომი იერუსალიმიდან არის წარმოშობილი და, რომ ისინი წამოვიდნენ იერუსალიმიდან ღვთის ბრძანების მომასწავებელი სიზმრების ჩვენებით და დაესახლნენ სპარსეთის მხარეებთან, ე.ი. ქვეყანაში, სადაც ამჟამად მკვიდრობენ... ვინაიდან იბერიელები, როგორც თვითვე ამბობენ, შთამომავლობით იერუსალიმიდან არიან, ამის გამო მათ აქვთ დიდი სიყვარული მისი და უფლისა იესო ქრისტეს საფლავისა და განსახლდურულ დროებში უხვად უგზავნიან ფულს წმინდა ქალაქის პატრიარქსა და იქაურ ქრისტიანებს“: დამახასიათებელია აგრეთვე მისი შემდეგი სიტყვებიც იბერიელთა შესახებ, რომ ისინი „უწოდებდნენ თავის-თავს დავით მეფისა და წინასწარმეტყველის ნათესავს და აქედან ყოველადწმინდა ღვთისმშობლის ნათესავსაც, რადგან ისიც დავითისაგან არის წარმოშობილი“³.

მოყვანილ ამონარიდში, გარდა ქრისტიანული იდეოლოგიის აშკარა ზეგავლენისა, შეინიშნება მცხეთის ებრაულ თემში შემონახული გადმოცემების ანარეკლიც. გასათვალისწინებელია ისიც, რომ კონსტანტინე პორფიროგენეტის ინფორმაციას ეხმიანება „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ცნობა, რომელიც, მართალია, არა იბერიელთა, არამედ ებრაელთა ქართლში გამოჩენას უკავშირებს ნაბუქოდონოსორის მიერ იერუსალიმის აღებას. აქ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ ქართული მატეიანის მონაცემების თანახმად, „ურიანი“, ისევე, როგორც კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში „იბერიელი“, ნაბუქოდონოსორს კი არ გამოჰყავს იერუსალიმიდან, არამედ ქალაქის მოსახლეობის დატყვევების შემდეგ იქიდანვე (და არა პირენეს იბერიიდან) ლტოლვილნი, თავად მოდიან ქართლში⁴. ქართული მატეიანის ცნობა მიგვანიშნებს, რომ „ღვთის ბრძანების მომასწავებელი სიზმრების ჩვენებით“ იერუსალიმიდან თავისი ნებით წამოსულ კონსტანტინე პორფიროგენეტის „იბერიელებში“ იერუსალიმიდან წამოსული ებრაელების შთამომავლები იგულისხმებიან.

სავარაუდოა, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ცნობა იერუსალიმიდან „ოტებულ ურიათა“ ნაბუქოდონოსორის მიერ ამ ქალაქის აღების შემდეგ ქართლში დამკვიდრების თაობაზე ქართველი მემატეიანის მწიგნობრობაში ფართო განსწავლულობის შედეგად იყოს შეთხზული და რეალურად მომხდარ ამბებს არ უკავშირდებოდეს. რაც შეეხება კონსტანტინე პორფიროგენეტის ხემომოყვანილ ტექსტს, მასში შეინიშნება განზრახვა, წარმოჩენილი ყოფილიყო იბერიელთა წარმომავლობა იერუსალიმიდან, რასაც კიდევ უფრო უნდა გაეზარდა იუდეის მეფის დავითისა და მისი ძის სოლომონის შთამომავლებად მიჩნეულ ბაგრატიონთა ლეგიტიმაცია ქართლში გასაბატონებლად⁵.

ამრიგად, ძველი ქართული წერილობითი წყაროები ერთმნიშვნელოვნად მიგვანიშნებენ ქართლში ებრაელთა დამკვიდრების ფაქტზე, რაც არქეოლოგიური თუ ეპიგრაფიკული მონა-

¹ ტ. ფუტყარაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 185.

² Hdt., I: 104, 110; 3: 94; 4: 37, 40.

³ კონსტანტინე პორფიროგენეტის მიხედვით, იბერიელები შთამომავლები არიან ჰური ხეთელის მეუღლის ბერსავისი, მეფე სოლომონის დედის, რომელიც შეირთო მეფემ და წინასწარმეტყველმა დავითმა (Const. Porphyry., *De adm. Imp.*, 45; იხ. R. J. H. Jenkins, Constantine Porphyrogenitus. *De Administrando Imperio*. English Translation by R. J. H. Jenkins. New Revised Edition (Dumbarton Oaks: Center for Byzantine Studies, Washington, D. C., 1967), pp. 205, 206, §45; შდრ. პ. ინგოროყვა, *გიორგი მერჩულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა*. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის და სახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან (თბილისი, 1954), გვ. 81, 83).

⁴ „მაშინ ნაბუქოდონოსორ მეფემან წარმოსტყუენა იერუსალეში, და მუნით ოტებულნი ურიანი მოვიდეს ქართლს“; იხ. *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 15: 23, 24.

⁵ პ. ინგოროყვას აზრით, კონსტანტინე პორფიროგენეტის თხზულებაში „მოქცევა ქართლისა“-ს ტექსტის „არიან-ქართლის“ იერუსალიმით შენაცვლებაში ასახულია დავით მეფესთან იბერთა დაკავშირების გზით ქართველთა სამეფოს პოლიტიკური დამოუკიდებლობის დასაბუთების ტენდენცია, რაც პირდაპირ კავშირში იყო ბაგრატიონთა გენეალოგიის დავით მეფემდე და წინასწარმეტყველამდე აყვანის აღიარებასთან (პ. ინგოროყვა, დასახ. ნაშრ., გვ. 81-87. იხ., აგრეთვე, მ. ლორთქიფანიძე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1966), გვ. 144-149).

ცემებით, ძველთაგანვე მცხეთაში ებრაული თემის არსებობით დასტურდება კიდევ¹. უცნაური ის იქნებოდა, თუ ეს გარემოება თავის ასახვას ვერ ჰპოვებდა ქართულ მატრიანებში².

მაგრამ საკითხავია, თუ რას უნდა გამოეწვია „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ქალდეველთაგან გამოსხმული ჰონების“ სახელწოდებაში – „პონი“ – ქარაგმის გაუქმების ე. თაყაიშვილისეული ზემოაღნიშნული ვარაუდი? არ არის გამორიცხული, რომ ეს გამიზნულად მომხდარიყო, ვინაიდან ამავე მატრიანის მიხედვით, ებრაელები ქართლში მეთორმეტე და მეცამეტე ქართლის მეფეების ხანაში არიან მოსულნი: „...და მეფობდა ქარბამ არმაზს და მცხეთას – ბრატმან და ამათაჲ ჟამთაჲ ჰურიანი მოვიდეს მცხეთას და დასხდეს“³. გ. მელიქიშვილის აზრით, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტის ეს ცნობა მით უფრო ანგარიშგასაწვეი ჩანს, რომ მას თანხვედბა რომის იმპერატორის ტიტუს ფლავიუს ვესპასიანეს (ახ. წ. 69-79 წწ.) მიერ იერუსალიმის აღების თარიღი – ახ. წ. 70 წ.⁴. თუმცა, ამასთანავე, გასათვალისწინებელია ისიც, რომ მცხეთის ებრაულ თემში შემონახული ტრადიციის მიხედვით, ადგილობრივი ებრაული კოლონიის დაარსება მომხდარა ძვ. წ. 169 წ.⁵.

განხილულ საკითხებთან მიმართებაში ერთი სირთულე მაინც იჩენს თავს. მიუხედავად იმისა, რომ „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ქალდეველთაგან გამოსხმული ჰონების“ ნაცვლად „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში „ურიებია“ დასახელებული, ამავე დროს, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ც იცნობს ქალდეველების ქართლში გადმოსახლების ამბავს, ოღონდ „ჰონთა“ მოუხსენიებლად: „...კუალად გამოვიდეს სხუანი ნათესავნი ქალდეველნი, და დაეშენეს ივინი-ცა ქართლს...“⁶. ეს ამბავი „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში, ისევე როგორც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს ტექსტის „ქალდეველი ჰონების“ მოსვლა, ალექსანდრე დიდის ხანით, კერძოდ, ქართლში მისი ორი ლეგენდარული დაშქრობის შუალედური ხანით თარიღდება⁷, ე. ი. „ურიათა“ ჩამოსახლებასთან შედარებით, რასაც თითქოს ნაბუქოდონოსორის ხანაში უნდა ჰქონოდა ადგილი, მნიშვნელოვნად უფრო გვიანი ხანით⁸. ამრიგად, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ქალდეველთაგან გამოსხმული ჰონების“ ნაცვლად, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ში „ურიების“ გარდა, ქართლში შემოხიზნული კიდევ ერთი ტომი – „ქალდეველები“ დაემატა. აშკარაა, რომ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ავტორისათვის მიუღებელი იყო „ურიათა“ „ქალდეველთაგან გამოსხმა“, თორემ სხვა მხრივ, როგორც ზემოთაც ითქვა, დამთხვევა „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ჰონებსა“ და „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს „ურიებს“ შორის თითქმის სრულია; სიტყვებიც კი ერთნაირია გამოყენებული.

გასარკვევია თუ რითი უნდა ყოფილიყო ეს გამოწვეული, რა მიზეზის გამო უნდა დაეტოვებინა „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს ტექსტში ავტორს „ქალდეველთა“ ხსენება, მაშინ როდესაც „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ს „ქალდეველთაგან გამოსხმული ჰონების“ ნაცვლად, მხოლოდ „ურიებიდა“ მოიხსენია უქალდეველებოდ, ხოლო ეს უკანასკნელი ცალკე, დამატებით მოიხსენია როგორც „სხუანი ნათესავნი ქალდეველნი“; რომლებიც ასევე „დაეშენეს... ქართლს“. ვფიქრობ, ამის ახსნას იძლევა „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს კონცეფცია უძველესი ხანის ქართლში სხვადასხვა წარმომავლობის მოსახლეობის თავმოყრისა და თანაარსებობის შესახებ: „და იყვნეს ქართლს ესრეთ აღრეულ ესე ყოველნი ნათესავნი, და იზრახებოდა ქართლსა შინა ექუსი ენა: სომხური, ქართული, საზარული, ასურული, ებრაული და ბერძნული. ესე ენანი იცოდეს ყოველთა მეფეთა ქართლისათა, მამათა და დედათა“⁹. მართლაც, გარკვეულ ტერიტორიაზე განსხვავებული წარმომავლობისა და კულტურული თავისებურებების მქონე მოსახლეობის თანაარსებობა აჩქარებს საზოგადოებრივი განვითარების პროცესს და ხელს უწყობს სახელმწიფო-

¹ იხ., მაგ., ქ. დიდმელაშვილი, V საუკუნის სახლი მცხეთიდან, *იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრე-მედიევური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი*, № 11 (თბილისი, 2015), გვ. 62-68.

² პ. ინგოროყვას ვარაუდით, „წმ. ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული რედაქციის შედგენისას დავით აღმაშენებლის სულიერ მოძღვარს არსენ ბერს (მას არსენ ივალთოელად მიიწვევენ) უნდა ესარგებლა IV ს. ქართველი ისტორიკოსის (წარმოშობით ქართველი ებრაელის) აბიათარის დაკარგული თხზულებით „ცხოვრება და მოქცევა ქართლისა და მოთხრობა ნათესავობისა, და თუ რომელნი რომელთა ტომთანი ვართ, ანუ ვითარ მოვიქცეთ და მივიღეთ სჯული ქრისტეანობისა“. ეს გარემოება, მისი აზრით, არსენ ბერის თხზულების ტექსტისა და აბიათარის მატრიანის ზედწერილის გამონათქვამების ზუსტი დამთხვევიდან ირკვევა (პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატრიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ. XI-B, 1941, გვ. 283, 284).

³ *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, გვ. 321: 12, 13.

⁴ Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 56.

⁵ შდრ. Г. А. Меликишвили, დასახ. ნაშრ., გვ. 3 13, 448, 449.

⁶ *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 17: 15, 16.

⁷ *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 17: 13-17; *მოქცევაჲ ქართლისაჲ*, გვ. 320: 9, 10.

⁸ შდრ. *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 15: 23, 24 - გვ. 16: 1-3.

⁹ *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 16: 21-23.

ებრიობის აღმოცენებას. შესაძლოა ესეც იყო ერთ-ერთი ხელშემწყობი მიზეზი ცენტრალურ ამიერ-კავკასიაში, კავკასიონის მთავარი ქედის სამხრეთით, ქართული სახელმწიფოს აღმოცენებისა.

თუმცა, ამ უცხოტომელთა შორის ძნელი წარმოსადგენი იქნებოდა „ბუნ-თურქთა“ დასახელება; ყოველ შემთხვევაში იმ კონტექსტის გათვალისწინებით, რა სახითაც არიან ისინი წარმონიშნული ქართულ მატრიანებში. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, ვფიქრობ, საკმარისი საფუძველი უნდა მოგვეპოვებოდეს ვარაუდისათვის, რომ „ბუნ-თურქები“ წარმოადგენდნენ არა უძველეს ხანებში თანამედროვე აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე განსახლებულ რეალურად არსებულ ხალხს, არამედ ფიქციას, აღმოცენებულს ქართული ჰაგიოგრაფიული და ისტორიული მწერლობის გარიჟრაჟზე, უცხოენოვანი წერილობითი წყაროების არაზუსტი თუ სულაც საკუთარი ინტერესებიდან და მსოფლმხედველობიდან გამომდინარე ინტერპრეტაციის შედეგად. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ქართულ მატრიანეთა ცნობების არსებითი ავთენტურობა, განსაკუთრებით იმ მხრივ, რომ მათი მონაცემებით, ალექსანდრე დიდის მიერ აქემენიანთა იმპერიის დაპყრობა და *Pax Achaemenia*-ს *Pax Macedonica*-თი შეცვლა ფაქტიურად დაკავშირებულია აღმოსავლურქართული სახელმწიფოებრიობის დაფუძნებასთან; ამ მოვლენამ, თავის მხრივ, სათავე დაუდო ქართველთა ისტორიულ მახსოვრობას და ერის უწყვეტ ორგანულ სოციალურ-პოლიტიკურ და კულტურულ განვითარებას XIX საუკუნის დასაწყისში რუსეთის მიერ მისი ანექსიის ხანამდე¹.

ალექსანდრე მაკედონელის სახელმა იტვირთა რომის იმპერიის რღვევის ხანაში ჩრდილოეთის მომთაბარე ტომებთან ბრძოლის წინამძღოლის ფუნქცია: როგორც კი ცივილიზებული სამყარო ბარბაროსთა შემოსევის პირისპირ აღმოჩნდა, კვლავ გაცოცხლდა ძველი ლეგენდა ალექსანდრე დიდის მიერ ბარბაროსთა წინააღმდეგ მოწყობილი *რკინის კარის* შესახებ. მართლაც, ახ. წ. IV-VII საუკუნეების ახლო აღმოსავლეთში მომხდარი ხშირი შემოსევების ფონზე ჩრდილოელი მომთაბარე ტომების წინააღმდეგ აღმართული „კასპიის კარის“ მოწყობი ალექსანდრეს შესახებ შეთხზული ლეგენდების მოტივებში სულ უფრო მატულობს და მძაფრდება აპოკალიფსური შეფერილობა. აპოკალიფსისაგან ცივილიზაციის დამცველისა და მონოთეისტური ერთი ღმერთის შთაგონებული ქადაგის, ალექსანდრე დიდის სახე, უფრო გვიან ხანებში მეკვიდრეობით გადაეცა შუასაუკუნეების ბიზანტიურ და მუსლიმურ სამყაროს². სავარაუდოა, რომ სწორედ ადრეშუასაუკუნეების ეპოქაში უაღრესად პოპულარული „ალექსანდრეს რკინის კარის“ შესახებ ლეგენდის კავშირმა კავკასიონთან და კერძოდ დარიალის უღელტეხილთან, განაპირობა ქართული მატრიანების თემად ალექსანდრე დიდის ქართლში ლაშქრობის ლეგენდის შეთხზვა. მართალია, ძველი ქართული მატრიანეები ლეგენდას „რკინის კარის“ შესახებ არ იცნობენ, თუმცა ის გარემოება, რომ „ბუნ-თურქები“ ალექსანდრესგან თავდასახსნელად „შეივლტოდეს კავკასიად“³, უნდა მიგვანიშნებდეს, რომ ჩრდილოეთით ივარაუდებოდა მათი თავშესაფარი. „წმ. ნინოს ცხოვრების“ მეტაფრასული ტექსტის („ცხოვრება და მოქალაქობა და ღუაწლი წმიდისა და ღირსისა დედისა ჩუენისა ნინოსის, რომელმან ქადაგა ქრისტე, ღმერთი ჩუენი, ქუეყანასა ჩრდილოდასა და განანათლა ნათესავი ქართველთა“) ავტორის არსენ ბერის განმარტებითაც, რომლისთვისაც ბუნ-თურქები და ყივჩაღები ერთიდაიგივე ხალხია⁴, ქართლიდან ლტოლვილი ბუნ-თურქები დასახლებულან ოვსეთს იქით, იმ წყლით მდიდარ ვრცელ მხარეში, სადაც უფრო გვიან ყივჩაღთა ძლიერი მოდგმა ბინადრობდა⁵. უეჭველია, რომ აქ იგულისხმება სამხრეთ რუსეთის სტეპები, „გოგისა და მაგოგის უწმინდურ ტომთა“ სამკვიდრებელი⁶.

¹ კ. თუმანოვის მიერ შენიშნულია ის გარემოება, რომ მთელ ქრისტიანულ სამყაროში საქართველო წარმოადგენდა ერთადერთ სახელმწიფოს, რომლის სოციალურ-პოლიტიკური და კულტურული განვითარება უწყვეტად შეიძლება ჩაითვალოს კლასიკური ხანებიდან დაწყებული XIX საუკუნემდე (C. Toumanoff, *Medieval Georgian Historical Literature* (VIIth-XVth centuries), *Traditio*, vol. 1, 1943, pp. 139, 142, 150, 151).

² S. Gero, დასახ. ნაშრ., გვ. 8, 9.

³ *ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 18: 14.

⁴ „ნათესავნი იგი სასტიკნი წარმართიანი, რომელთა ჩუენ აწ ბუნ-თურქად და ყივჩაყად უწოდთ“ (95: 16, 17); იხ. ილ. აბულაძე, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. წიგნი III: მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს. რედაქტორი: ილია აბულაძე (თბილისი, 1971), გვ. 46.

⁵ „გარეგან ოვსეთისა. და არს ქუეყანა იგი მალალ და ვრცელ და სიმრავლე წყალთაჲ, სადა-იგი მიერთიან მეკდრობენ დიდნი იგი ნათესავნი ყივჩაყთანი“ (95: 28-30); იხ. ილ. აბულაძე, დასახ. ნაშრ., გვ. 46.

⁶ „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს განსაზღვრებით, ოვსთა ქვეყანა წარმოადგენდა მდ. ლომეკის (თანამედროვე თერგი) დასავლეთით მდებარე კავკასიის ნაწილს (*ცხოვრება ქართველთა მეფეთა*, გვ. 12: 9-12). ამ თხზულების ახალი ინგლისური თარგმანის ავტორისა და კომენტატორის (დ. გამყრელიძე) შენიშვნითაც, ლეონტი მროველისთვის ტერმინს – „ბუნ-თურქი“ ჰქონდა სავსებით კონკრეტული მნიშვნელობა და მასში მოიაზრებოდა თურქული წარმომავლობის ხალხი, რომელიც სადღაც ჩრდილოეთით სახლობდა (S. Jones (ed.), *Kartlis Tskhovreba (a History of Georgia)*. Editor in Chief of the English edition: Stephen Jones (Tbilisi: Artanuji Publishing, 2014), p. 71, n. 13).

ამდენად, სავსებით დასაშვებია, რომ ქართული მატრიანების „ბუნ-თურქებში“, რომელთაც ვითომდა წააწყდა ქართლში ალექსანდრე და რომლებიც წარმოადგენდნენ არა რეალურად არსებულ ხალხს, არამედ ფიქციას, კლასიკური ეპოქის ლიტერატურის სუბიექტური ინტერპრეტაციის შედეგად ჩამოყალიბებულს ამ მატრიანების შექმნის ხანისათვის დამახასიათებელი მოვლენების ზეგავლენით, ნაგულისხმევი ყოფილიყო ჩრდილოეთის მომთაბარე, მეჯჯოვე მოსახლეობა, კავკასიის კარიბჭის გადმოლახვით არაერთხელ, სხვადასხვა დროს აქ შემოდგეული, ანუ იმ ადგილიდან, სადაც, მათი განდევნის შემდეგ, თითქოს „რკინის კარი“ აუგია დიდ მეფეს¹. ჩრდილოური წარმომავლობის ტომების ინფილტრაციასა თუ ინვაზიას პერმანენტულად ჰქონდა ადგილი წინაისტორიული თუ ისტორიული ხანის ამიერკავკასიაში და ეს გარემოება თვალსაჩინოდ არის ასახული არქეოლოგიური ხასიათის მასალებში.

ელინისტური ხანიდან დაწყებული, ახლო აღმოსავლურ-ხმელთაშუაზღვისპირეთული არეალის საზოგადოებების დაინტერესება ამიერკავკასიით განპირობებული უნდა ყოფილიყო ამ უკანასკნელის მდებარეობით ცივილიზებული და ბარბაროსული სამყაროების შეხების ზონაში, ან უფრო ზუსტად, ამ ორი სამყაროს გამყოფ *რღვევის ხაზზე*. ამიერკავკასიის ასეთი მდებარეობა მის სივრცეში ისტორიული განვითარების ორი დიამეტრალურად საწინააღმდეგო მოდელის შეჯახების მიზეზი ხდებოდა. კავკასიონის მთავარი ქედის ფაქტორი, რომლის სამხრეთითაც იყო ეს რეგიონი განლაგებული, განსაზღვრავდა მის ბედს – ყოფილიყო მაღალგანვითარებული, ცივილიზებული სამხრეთისა და დასავლეთის ბურჯი განვითარების დაბალი ტემპის მქონე ბარბაროსული ჩრდილოეთისა და აღმოსავლეთის წინააღმდეგ. მომთაბარეთათვის გზის გადამკეტი კავკასიის კარიბჭის ეფექტური კონტროლის დიდი საჭიროების გამო ზემოაღნიშნული არეალის სახელმწიფოთა ყველა დროის გამგებლებისათვის სასურველი იყო ცენტრალურ ამიერკავკასიაში, იბერიაში, მსგავსი ფუნქციის შესრულებისათვის საკმაო ძალის მქონე პოლიტიკური ორგანიზაციის არსებობა, რომელიც მოახერხებდა ამ ფუნქციის შესრულებას. ყოველგვარი ეჭვის გარეშე, სწორედ ამ მიზეზით უნდა აიხსნას გარესამყაროს დიდი ინტერესი დარიალის გამომღმა მდებარე ამიერკავკასიის ცენტრალური ნაწილის, იბერიის მიმართ².

როგორც ჩანს, სწორედ ეს, პირობითად რომ ვთქვათ, „რკინის კარის“ კონცეფცია, წარმოადგენდა ქართული სახელმწიფოებრიობის კონკრეტული პოლიტიკური ფუნქციის გამოსატრელებას – ყოფილიყო მსოფლიოს ამ ერთ-ერთი ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სტრატეგიული პუნქტის დამცველი. ამასთან დაკავშირებით საგულისხმოა პლინიუსის ზემომოყვანილი შენიშვნა, რომ იბერიული ქალაქი ჰარმასტისი (იგივე ქართლის ძველი დედაქალაქი – არმაზი) „კავკასიის კარის“ პირდაპირ მდებარეობდა. ეს გარემოება მიუთითებს ჰარმასტისის ფუნქციაზე – გადაეკეტა გზა ჩრდილოეთიდან, კავკასიის კარით (ანუ დარიალით) შემოსული და თერგისა და არაგვის ხეობების გავლით წამოსული მოთარეშეებისათვის (რისი მსურველთა რაოდენობა ქედს გაღმა ურიცხვი იყო). სამყაროს ორ ნაწილად გამყოფი პლინიუსისეული „კავკასიის კარიბჭე“ (*Porta Caucasi*, დარიალი, იგივე „კასპიის კარიბჭე“) კუმანიის ციხესთან (გაიგივებულია ჯვრის უღელტეხილის სამხრეთ კალთაზე მდებარე ქუმლის ციხესთან) ერთად, გზას უკეტავდა კავკასიონის გადაღმა მყოფ ურიცხვ ტომებს³.

კავკასიონის უღელტეხილების კონტროლის საშუალებით იქმნებოდა მეტად ხელსაყრელი შესაძლებლობა წინა აზიაში *Pax Romana*-ს ჩამოყალიბებისათვის, რაც რომაელთა ერთ-ერთი კარდინალური ამოცანის – ახლო აღმოსავლეთში ძალაუფლების შენარჩუნების გარანტიას იძლეოდა. იბერიელები, რომელთა ძალაუფლება კავკასიის კარიბჭეზე ვრცელდებოდა, ამ ცნების ყველაზე ფართო გაგებით, დარიალის უღელტეხილიდან დაწყებული მცხეთა-არმაზით დამთავრებული – რეგიონში რომაელთა ყველაზე მნიშვნელოვანი მოკავშირეები იყვნენ. რომაელებსა და იბერებს, ერთიანი ძალები *Orbis Terrarum*-ის შემადგენელ ნაწილებს შორის არსებული მჭიდრო თანამშრომლობა საერთო სტრატეგიულ ინტერესებზე იყო დაფუძნებული. სწორედ რომაული ხანებიდან უნდა მომდინარეობდეს ქართული სახელმწიფოს საუკუნოვანი სწრაფვა, გაეერთიანებინა თავის ხელქვეით შავი ზღვიდან კასპიის ზღვამდე არსებული კავკასიონის ყველა გადასასვლელი, რაც ამავე დროს გამოსატრეულია ამ ქვეყნის ტერიტორიული მთლიანობის ფორმულაში „ნიკოფსიიდან დარუბანდამდე“, რომელსაც გვამცნობს XIII ს. თხზულება „ისტორიანი და აზ-

¹ პლინიუსის ცნობით, „კავკასიის რკინის კარი“ რკინის ფურცლებგადაკრული ხის მორებით ყოფილა ნაგები (Plin., n. h. VI, 30).

² G. L. Kavtaradze, Georgian Chronicles and the *raison d'être* of the Iberian Kingdom (Caucasica II), *Orbis Terrarum, Journal of Historical Geography of the Ancient World* 6, 2000 (Stuttgart: Franz Steiner Verlag), 2001, pp. 200-202, 204.

³ Plin., n. h. VI, 29, 30.

მანი შარავანდედთანი¹. როგორც ვხედავთ, აღნიშნული ფორმულა განსაკუთრებულად მახვილს სვამს ჩრდილოეთის საზღვრის გაყოლებაზე, რომელიც გადაჭიმული იყო დაახლ. თანამედროვე ტუაფსედან (შავ ზღვაზე) დერბენდამდე (კასპიის ზღვაზე) და რომლის დაცვა და კონტროლი შუა საუკუნეებში არსებული ამ სამეფოს ერთ-ერთ უმთავრეს ფუნქციას წარმოადგენდა².

დარიალისა და დარუბანდის კარიბჭეების პერმანენტული ფუნქციონირების უზრუნველყოფა ხშირად განაპირობებდა ერთმანეთთან დაპირისპირებული სახელმწიფოების ერთობლივი მოქმედების საჭიროებას; რომი და პართია, ბიზანტია და სასანიანთა ირანი ერთნაირად იყვნენ დაინტერესებულნი, გზა გადაეკეტათ ჩრდილოელ მომთაბარეთა დამანგრეველი შემოსევებისათვის. ზოგჯერ საქმე იქამდეც კი მიდიოდა, რომ სასანიანი მმართველები ბიზანტიელ ხელისუფალთაგან ითხოვდნენ ხოლმე და იღებდნენ კიდევ სამხედრო ან ფინანსურ დახმარებას³.

ამრიგად, ვფიქრობ, სრულიად ცხადი უნდა იყოს იბერიაში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა-ჩამოყალიბებისა და მისი შემდგომი განვითარების კავშირი ჩრდილოეთის ნომადი ტომების შემოღწევისაგან კავკასიონის მთავარი ქედის უღელტეხილების დაცვის საჭიროებასთან. აღნიშნული სახელმწიფოებრივი ფუნქცია იყო ის ერთ-ერთი ძირითადი გადამწყვეტი ფაქტორი, რომელმაც გამოიწვია ქართული სახელმწიფოს წარმოქმნა ამიერკავკასიის ცენტრალურ ნაწილში ძვ. წ. I ათასწლეულის დასკვნით საუკუნეებში. შეიძლება ითქვას, რომ ბერძნულ-რომაული, სომხური და ქართული წერილობითი წყაროების მონაცემთა შეჯერება საშუალებას გვაძლევს განვაცხადოთ, რომ ცენტრალურ ამიერკავკასიაში არსებულ ყველაზე ადრეული სახელმწიფოს, იბერიის სამეფოს ძვ. წ. I ათასწლეულის გვიან ხანებში აღმოცენება-ჩამოყალიბების გამომწვევი ერთ-ერთი ძირითადი მიზეზი სწორედ „აღექსანდრეს რკინის კარის“, ანუ კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალურ ნაწილში მდებარე დიდი სტრატეგიული მნიშვნელობის მქონე დარიალის კარიბჭის, კონტროლის საჭიროება უნდა ყოფილიყო⁴. ამასთანავე, იბერიის ხელისუფალნი პერმანენტულად და დიდი წარმატებითაც იყენებდნენ თავიანთი ქვეყნის ხელსაყრელ სტრატეგიულ მდებარეობას, რათა გაეწონასწორებინათ გარესამყაროს ყველა მხრიდან მომდინარე ძალთა დაწოლა⁵. შეიძლება ითქვას, რომ აღნიშნულმა გეოპოლიტიკური ხასიათის ფაქტორებმა არა თუ გამოიწვიეს კლასიკური ხანის ცენტრალურ ამიერკავკასიაში სახელმწიფოებრიობის წარმოქმნა, არამედ განაპირობეს კიდევ მომდევნო ხანებში მისი ისტორიული განვითარება.

ვინაიდან კავკასიონის მთავარი ქედის ცენტრალური უღელტეხილი (იგივე კავკასიის კარი, დარიალის უღელტეხილი) ხშირად არის მოხსენიებული კლასიკური ხანის მწერლობაში, როგორც *აღექსანდრეს რკინის კარიბჭე*, *სვეტები თუ ბურჯობ*, ხოლო საკუთრივ აღექსანდრეს არასოდეს არ უღაშქრია კავკასიისაკენ, ამიტომ სომხურ და ქართულ მატყანეებში ასახული აღექსანდრე დიდის სახელის კავშირი ქართულ სახელმწიფოებრიობასთან უნდა მიანიშნებდეს ამ სახელმწიფოს „არსებობის არსზე“ (*raison d'être*-ზე); კერძოდ, მის დანიშნულებაზე – ყოფილიყო აღმოსავლეთხმელთაშუაზღვისპირეთულ-ახლოაღმოსავლური ცივილიზებული სამყაროს (*oikouμένη, Orbis Terrarum*) თავდაცვის საყრდენი მის ბრძოლაში მომთაბარე, მძლავრ და აგრესიულ გადამთიელებთან (ე. წ. გოგისა და მაგოგის საუფლოსთან), რომელთაც, „კავკასიის კარიბჭის“, ანუ კავკასიონის მთავარი ქედის გადაღმა უნდა ჰქონოდათ ბინა⁷.

აღექსანდრესადმი თავყვანისცემა იმდენად ძლიერი იყო საქართველოში, რომ ყველაზე უფრო სახელგანთქმულ ქართველ მეფეს, დავით IV აღმაშენებელს, ქართული მატყანეები *მეორე* ანდა *ახალ აღექსანდრეს* უწოდებენ. არც ის უნდა იყოს შემთხვევითი, რომ იმიერტაოში, თორთომის მახლობლად მდებარე X საუკუნის ხახულის ტაძრის გარე კედელზე ამოკვეთილია ცად

¹ „მაშინ მოუწოდეს სპათა იმერთა და ამერთა, ნიკოფსით დარუბანდამდის, და შეკრბეს ჯავახეთს. და მივიდა თამარ ვარძიას...“; იხ. ს. ყაუხჩიშვილი, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*, ტომი II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1959), გვ. 94: 15, 16.

² G. L. Kavtaradze, დასახ. ნაშრ., გვ. 219.

³ იხ., მაგ., M. Tezcan, Bab al-Suls (Sul-Gates) in Caucasia and Turkestan, Their Roles in Medieval Caucasian and Turkestan Studies, and the Sul Turks, *International Journal of Central Asian Studies*, vol. 16, 2012, p. 140.

⁴ გ. ქავთარაძე, საქართველო, კავკასიონი და გეოპოლიტიკა – წარსული და თანამედროვეობა, *მარი პროსე – 210*. სომხების სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. რედ.: ლია ახალაძე, ბეჟან ხორავა, კახა კვაშილავა (თბილისი, 2012), გვ. 43, 44.

⁵ ჯერ კიდევ ტაციტუსი შენიშნავდა, რომ იბერიელები „დიდად დახელოვანებულნი“ იყვნენ სხვადასხვა ვითარებების თავის სასარგებლოდ გამოყენებაში და შეეძლოთ კავკასიონის გადაღმა მხარეებიდან უეცრად „გადმოესხათ“ მოქირავნეები თავიანთი მტრების წინააღმდეგ (Tac., *Ann.*, 6, 33).

⁶ შდრ. A. R. Anderson, დასახ. ნაშრ., გვ. 15-19.

⁷ G. L. Kavtaradze, დასახ. ნაშრ., გვ. 227, 228.

ამაღლებული წარმართი მეფის, ალექსანდრე მაკედონელის XIV საუკუნით დათარიღებული გამოსახულება¹.

ალექსანდრე დიდისადმი მიწერილი ზემოხსენებული ფუნქცია, ყოფილიყო ცივილიზებული სამყაროს დამცველი ჩრდილოელ მომთაბარეთა შემოსევებისაგან, ემთხვევა ქართული სახელმწიფოს სვე-ბედს, მის ისტორიულ დანიშნულებას. ქართული სახელმწიფოებრიობის მჭიდრო კავშირი კავკასიონის გადასასვლელების გაკონტროლების საჭიროებასთან მკაფიოდ იკვეთება მთელი მისი ისტორიის განმავლობაში და სწორედ საკუთარი ხელიდან ამ კონტროლის უფლებამოსილების ჩრდილოეთის მხარისთვის – რუსეთის იმპერიისათვის გადაცემის შედეგად დაკარგა საქართველომ თავისი ოდინდელი ისტორიული ფუნქცია და გარესამყაროსათვისაც ნაკლებად მნიშვნელოვანი გახდა ქვეყნის არსებობა მსოფლიოს პოლიტიკურ რუკაზე. ამ მხრივ საგულისხმოა ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და ფოლკლორისტის, პეტრე უმიკაშვილის მიერ XIX საუკუნეში ჩაწერილი ხალხური ლექსი „ერეკლეს დატირება“, სადაც თავისი ძირითადი ჩრდილოეთის კარიბჭის, „რკინის კარის“ დაცვის ვალდებულება მიხნეულია ქართული სახელმწიფოს ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ფუნქციად, მისი არსებობის საწინდრად. კავკასიონის გადამკვეთი დარიალის უღელტეხილი ხომ ძველთაგანვე ცნობილი იყო „რკინის კარის“ სახელით:

*„ვერ გაგივიათ ქართველნი,
შაგეხსნათ რკინის კარია,
მეფე აღარ გყავსთ ერეკლე,
ბაგრატიონთა გვარია,
აღარ გაქვსთ ბაირახები,
აღარ სჭექს ზარბაზანია,
ერთმანერთს ნუ უღალატებთ,
მტერმა არ ვთხაროსთ თვალია“².*

ბიბლიოგრაფია

1. ა. აბდალაძე, *მოვსეს ხორენაცი. სომხეთის ისტორია*. ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ა. აბდალაძემ (თბილისი, 1984).
2. ილ. აბულაძე, *ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები*. წიგნი III: მეტაფრასული რედაქციები XI-XIII სს. რედაქტორი: ილია აბულაძე (თბილისი, 1971).
3. გ. აღასანიას, ქართული წერილობითი წყაროების ბუნ-თურქები (საკითხის ისტორიოგრაფია), *ქართული წყაროთმცოდნეობა*, IX (თბილისი, 2000), გვ. 19-29.
4. მ. ანდრონიკაშვილი, *ნარკვევები ირანულ-ქართული ენობრივი ურთიერთობიდან*, I (თბილისი, 1966).
5. გ. არახამია, *ქართლის ცხოვრების პირველი მატეანის წყაროთმცოდნეობითი და ისტორიოგრაფიული შესწავლის საკითხები*. სადოქტორო დისერტაცია, 1994 წ.
6. *ახალი აღთქმად უფლისა ჩუენისა იესო ქრისტესი*. დაიბეჭდა ბრძანებითა და ლოცვა-კურთხევითა უწმიდესისა და უნეტარესისა სრულიად საქართველოვს კათალიკოს-პატრიარქის ეფრემ II-სადათა, საკათალიკოსო საბჭოს გამოცემა (თბილისი, 1963).
7. გიგინეიშვილი, ელ. გიუნაშვილი, *მოქცევაჲ ქართლისაჲ, შატბერდის კრებული X საუკუნისა*. გამოსაცემად მოამზადეს ბ. გიგინეიშვილმა და ელ. გიუნაშვილმა (თბილისი, 1979).
8. ვ. გოილაძე, *ჰუნ-თურქები კავკასიაში* (თბილისი, 2008).
9. ქ. დიდმელაშვილი, V საუკუნის სახლი მცხეთიდან, *იბერია-კოლხეთი, საქართველოს კლასიკური და ადრემედievalური პერიოდის არქეოლოგიურ-ისტორიული კვლევანი*, №11 (თბილისი, 2015), გვ. 62-68;
10. ე. დოხანაშვილი, *მცხეთური ხელნაწერი (ეკლესიასტე, სიბრძნე სოლომონისა, წინასწარმეტყველთა წიგნები – ესაია, იერემია, ბარუქი, ეზეკიელი)*. გამოსაცემად მოამზადა ე. დოხანაშვილმა (თბილისი: „მეცნიერება“, 1985).

¹ T. Khundadze, L'Ascension d'Alexandre le Grand sur le relief de l'église de Xaxuli, 21st International Congress of Byzantine Studies, London (Communication VIII. 7: Eastern Anatolia and the Caucasus) (London: Aldershot; Ashgate, 2006).

² იხ. ბ. ხარანაული, *ქართული პოეზია*, ტ. 17. შეადგინა ბ. ხარანაულმა (თბილისი, 1985), გვ. 81, 83. დიდ მადლობას მოვასხენებ ქალბატონ ლელა მიქიაშვილს და ქალბატონ ნინო ლაზრიშვილს წინამდებარე სტატიის ტექსტზე მუშაობისას გაწეული დახმარებისთვის.

11. ელ. დონანაშვილი, *მცხეთური ხელნაწერი (მოსეს ხუთწიგნეული, ისო ნავე, მსაჯულთა, რუთი)*. ტექსტი გამოსაცემად მოამზადა და გამოკვლევა დაურთო ელ. დონანაშვილმა (თბილისი: „მეცნიერება“, 1981).
12. ვ. ვაშაკიძე, ტერმინები „იბერია“ და „იბერები“ ანტიკურ წყაროებში, *საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია*, რედ.: ვ. პაიჭაძე (თბილისი, 1993).
13. ე. თაყაიშვილი, *სამი ისტორიული ხრონიკა* (ტფილისი, 1890).
14. პ. ინგოროყვა, ძველ-ქართული მატიანე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ და ანტიკური ხანის იბერიის მეფეთა სია, *საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მოამბე*, ტ. XI-B, 1941.
15. პ. ინგოროყვა, *ვიორგი მერხულე, ქართველი მწერალი მეათე საუკუნისა*. ნარკვევი ძველი საქართველოს ლიტერატურის, კულტურის დასახელმწიფოებრივი ცხოვრების ისტორიიდან (თბილისი, 1954).
16. კ. კეკელიძე, იორუჯანი (ცდა მისი ეტიმოლოგიის გარკვევისა), *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. I (თბილისი, 1956), გვ. 266-270.
17. კ. კეკელიძე, ხალხთა კლასიფიკაციისა და გეოგრაფიული განრიგების საკითხები ძველ ქართულ მწერლობაში (*Liber Generationis*-ის ქართული ვერსია), კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, I (თბილისი, 1956), გვ. 168-182.
18. კ. კეკელიძე, ძველი მწერლობა, *ქართული ლიტერატურის ისტორიიდან ტომად*, გ. ლეონიძე (მთ. რედ.); ტ. 1, აღ. ბარამიძე (რედ.) (თბილისი, 1960).
19. კ. კეკელიძე, მეოთხე საუკუნის საზღვარგარეთელი ქართველი მოაზროვნე და მოღვაწე, კ. კეკელიძე, *ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან*, ტ. VI (თბილისი, 1960), გვ. 5-17.
20. მ. ლორთქიფანიძე, ლეგენდა ბაგრატიონთა წარმოშობის შესახებ, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1966), გვ. 144-149.
21. გ. მამულია, *კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს ჩამოყალიბება ძველ ქართლში* (თბილისი, 1979).
22. გ. მელიქიშვილი, ძველი ქართული, სომხური და ბერძნული საისტორიო ტრადიცია და ქართლის (იბერიის) სამეფოს წარმოქმნის საკითხი, *საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილების მოამბე*, 1962, № 2, გვ. 221-236.
23. გ. მელიქიშვილი, *საქართველოს, კავკასიისა და მახლობელი აღმოსავლეთის უძველესი მოსახლეობის საკითხისათვის* (თბილისი, 1965).
24. მ. სანაძე, საქართველოს ისტორიის უძველესი პერიოდი „ქართლის ცხოვრებისა“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“ მიხედვით, *ქართული წყაროთმცოდნეობა*, IX (თბილისი, 2000), გვ. 30-47.
25. ა. სარჯველაძე, კავკასიის იბერიის სახელწოდების შესახებ, *მაცნე, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია*, 1989, № 3, გვ. 118-123.
26. ტ. ფუტკარაძე, *ქართველები, ისტორიული საცხოვრისი, დედაენა, დიალექტები*. ნაწილი I: ქრისტიანობამდელი ეპოქა (ქუთაისი, 2005).
27. გ. ქავთარაძე, *ანატოლიაში ქართველურ ტომთა განსახლების საკითხისათვის* (თბილისი, 1985).
28. გ. ქავთარაძე, „არიან-ქართლის“ საკითხისათვის, *ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტის შრომები*, IX, 2009, გვ. 29-55;
29. გ. ქავთარაძე, საქართველო, კავკასიონი და გეოპოლიტიკა – წარსული და თანამედროვეობა, *მარი ბროსე – 210*. სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის საქართველოს ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი. რედ.: ლია ახალაძე, ბეჟან ხორავა, კახა კვაშილავა (თბილისი, 2012), გვ. 41-59.
30. ს. ყაუხჩიშვილი, *ხრონოლოგიური ვიორგი მონაზონისაჲ* (ტფილისი, 1920).
31. ს. ყაუხჩიშვილი, ლეონტი მროველი, ცხოვრება ქართველთა მეფეთა, *ქართლის ცხოვრება*, ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), გვ. 3-71.
32. ს. ყაუხჩიშვილი, ლეონტი მროველი, ნინოს მიერ ქართლის მოქცევა, *ქართლის ცხოვრება*, ტომი I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), გვ. 72-138.
33. ს. ყაუხჩიშვილი, დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი, ცხოვრება მეფეთ-მეფისა დავითისი, *ქართლის ცხოვრება*, ტომი I. ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1955), გვ. 318-364.
34. ს. ყაუხჩიშვილი, ისტორიანი და აზმანი შარავანდედთანი, *ქართლის ცხოვრება*, ტომი II, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ (თბილისი, 1959), გვ. 1-114.

35. გ. ყორანაშვილი, „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-სა და „მეფეთა ცხოვრების“ ერთი ადგილის გაგებისათვის, გ. ყორანაშვილი, *საქართველოს ისტორიის საკითხები*, ნაწილი I (თბილისი, 1994), გვ. 204-216.
36. ნ. ცეცხლაძე, *შავშეთ-იმერხევის ტოპონიმია* (ბათუმი, 2000);
37. კ. წერეთელი, „ებრაელის“ აღმნიშვნელი ეთნიკური ტერმინები ქართულში, *აღმოსავლეთ-მცოდნეობა, თბილისის უნივერსიტეტის შრომები*, ტ. 206, 1979, გვ. 9-26.
38. ბ. ხარანაული, *ქართული პოეზია*, ტ. 17. შეადგინა ბ. ხარანაულმა (თბილისი, 1985).
39. ლ. ჯანაშია, „ცხოვრება ქართველთა მეფეთა“-ს წყაროებისათვის, *კავკასიის ხალხთა ისტორიის საკითხები* (თბილისი, 1966), გვ. 131-143.
40. Пл. Иосселиани, *Различные наименования грузинов* (Тифлис, 1846).
41. Г. А. Меликишвили, *К истории древней Грузии* (Тбилиси, 1959).
42. С. Н. Муравьев, Птолемеява карта кавказской Албании и уровень Каспия, *Вестник древней истории*, 1 (163), 1983, сс. 117-147.
43. А. С. Хаханов, *Древнейшие пределы расселения грузин по Малой Азии* (Тифлис, 1903).
44. R. Anderson, *Alexander's Gate, Gog and Magog, and the Inclosed Nations* (Cambridge, Mass.: The Mediaeval Academy of America, 1932).
45. M. M. Balzer, *Religion and Politics in Russia: A Reader* (Abingdon, Oxon: Routledge, 2010).
46. B. Berg, An Early Source of the Alexander Romance, *Greek, Roman, and Byzantine Studies*, vol. 14, no. 4, 1973, pp. 381-387.
47. R. Bielmeier, Sprachkontakt in der Bekehrung Kartlis, *Lingua Restituta Orientalis: Festgabe für Julius Assfalg*. R. Schulz, M. Gorg (Hrsg.) (Wiesbaden: 1990), SS. 30-44.
48. J. Bostock, H. T. Riley (eds.). Pliny the Elder, *The Natural History* (London. Taylor and Francis, 1855).
49. M. Boyce, On the Zoroastrian Temple Cult of Fire, *Journal of the American Oriental Society*, vol. 95, no. 3, 1975, pp. 454-465.
50. G. de Breucker, Heroes and Sinners: Babylonian Kings in Cuneiform Historiography of the Persian and Hellenistic Periods, *Political Memory In and After the Persian Empire*. Jason M. Silverman and Caroline Waerzeggers (eds.). Society of Biblical Literature; Ancient Near East Monographs, no. 13 (Atlanta: SBL Press, 2015), pp. 75-94.
51. P. Briant, *From Cyrus to Alexander: A History of the Persian Empire*. Translated by P. T. Daniels (Winona Lake, Indiana: Eisenbrauns, 2002).
52. P. Briant, J. M. Todd, *Darius in the Shadow of Alexander* (Cambridge, Massachusetts: Harvard University Press, 2015).
53. A. Cahill, *Paradise Rediscovered: The Roots of Civilisation*, vol. 2 (Brisbane: Carindale, Qld., 2012).
54. A. Carriker, *The Library of Eusebius of Caesarea*. Texts and Studies of Early Christian Life and Language, vol. LXVII (Leiden/Boston, 2003).
55. C. A. Ciancaglini, The Syriac Version of The Alexander Romance, *Le Muséon*, vol. 114, 2001, pp. 121-140.
56. E. J. van Donzel, A. B. Schmidt, C. Ott, *Gog and Magog in Early Eastern Christian and Islamic Sources: Sallam's Quest for Alexander's Wall* (Leiden & Boston: Brill, 2010).
57. J. F. Dowsett, Movses Dasxuranci. *The History of the Caucasian Albanians*. Translated by C. J. F. Dowsett. School of Oriental and African Studies University of London, Oriental Series, vol. 8 (London, New York, Toronto: Oxford University Press, 1961).
58. W. Drummond, On the Science of the Egyptians and the Chaldeans, part II, *The Classical Journal*, for September and December 1817, vol. XIV, no. XXXII, pp. 262-273.
59. S. Gero, The Legend of Alexander the Great in the Christian Orient, *Bulletin of the John Rylands Library*, vol. 75, 1993, pp. 3-9.
60. J. Gippert, The “Bun-Turks” in Ancient Georgia, *Studies on Iran and the Caucasus. Presented to Prof. Garnik S. Asatrian on the Occasion of his 60th birthday*. Uwe Bläsing, Victoria Arekelova, Matthias Weinreich (eds) (Leiden/Boston, 2015), pp. 25-43.
61. R. Gray, *The Connection Between the Sacred Writings and the Literature of Ancient Jewish and Heathen Authors, Particularly that of the Classical Ages, Illustrated, Principally with a View to Evidence in Confirmation of the Truth of Revealed Religion*, vol. I (Pall-Mall: St Paul's Church-Yard, and Waterloo-Place, 1819).
62. R. J. H. Jenkins, Constantine Porphyrogenitus. *De Administrando Imperio*. English Translation by R. J. H. Jenkins. New Revised Edition (Dumbarton Oaks: Center for Byzantine Studies, Washington, D. C., 1967).
63. S. Jones (ed.), *Kartlis Tskhovreba (a History of Georgia)*. Editor in Chief of the English edition: Stephen Jones (Tbilisi: Artanuji Publishing, 2014);
64. G. L. Kavtaradze, Georgian Chronicles and the *raison d'être* of the Iberian Kingdom (Caucasica II), *Orbis Terrarum, Journal of Historical Geography of the Ancient World* 6, 2000 (Stuttgart: Franz Steiner Verlag), 2001, pp. 177-237.

65. T. Khundadze, L'Ascension d'Alexandre le Grand sur le relief de l'église de Xaxuli, *21st International Congress of Byzantine Studies, London*. (Communication VIII. 7: Eastern Anatolia and the Caucasus) (London: Aldershot; Ashgate, 2006).
66. K. G. Kristensen, *Who Were the Cimmerians, and Where Did They Come From? Sargon II, the Cimmerians, and Rusa I*. The Royal Danish Academy of Sciences and Letters. (Copenhagen, 1988).
67. D. Labow, Flavius Josephus. *Contra Apionem*, Buch I. Einleitung, Text, kritischer Apparat, Übersetzung und Kommentar von Dagmar Labow (Stuttgart 2005).
68. C. Lerner, *The Wellspring of Georgian Historiography: The Early Medieval Historical Chronicle. The Conversion of K'art'li and The Life of St. Nino* Translated with introduction, commentary and indices by Constantine B. Lerner (London: Bennett & Bloom, 2004).
69. J. Lust, Gog, *Dictionary of Deities and Demons in the Bible*. Karel van der Toorn, Bob Becking, Pieter W. van der Horst (eds.). Second, extensively revised edition (Leiden, Boston, Köln: Brill, 1999), pp. 373-375.
70. J. Lust, Mago, *Dictionary of Deities and Demons in the Bible*. Karel van der Toorn, Bob Becking, Pieter W. van der Horst (eds.). Second, extensively revised edition (Leiden, Boston, Köln: Brill, 1999), p. 535-537.
71. J. P. Nielsen, "I Overwhelmed the King of Elam": Remembering Nebuchadnezzar I in Persian Babylonia, *Political Memory In and After the Persian Empire*. Jason M. Silverman and Caroline Waerzeggers (eds.). Society of Biblical Literature; Ancient Near East Monographs, no. 13 (Atlanta: SBL Press, 2015), pp. 53-73.
72. A. Pagden, *Worlds at War: the 2,500-year Struggle between East and West* (Oxford, New York: Oxford University Press, 2008).
73. S. H. Rapp, Jr (ed.), *K'art'lis c'xovreba. The Georgian Royal Annals and their Medieval Armenian Adaptation*. Vol. I. Anatolian and Caucasian Studies (Delmar, New York: Caravan Books, 1998).
74. S. H. Rapp, Jr, *Studies in Medieval Georgian Historiography: Early Texts and Eurasian Contexts*. Corpus scriptorum christianorum orientaliu, vol. 601 (Louvain: Peeters, 2003).
75. S. H. Rapp, Jr, *The Sasanian World through Georgian Eyes: Caucasia and the Iranian Commonwealth in Late Antique Georgian Literature* (Farnham, Surrey, England; Burlington, VT, USA: Ashgate, 2014).
76. G. J. Reinink, Die Entstehung der syrischen Alexanderlegende als politisch-religiöse Propagandaschrift für Herakleios' Kirchenpolitik, *Orientalia Lovaniensia Analecta*, XVIII, 1985, SS. 263-281.
77. Ph. Schaff (ed.), *Socrates and Sozomenus Ecclesiastical Histories* (New York, 1886).
78. Schwanbeck, J. W. McCrindle, *Ancient India as Described by Megasthenés and Arrian*. Being a translation of the fragments of the Indika of Megasthenés collected by Dr. Schwanbeck, and of the first part of the Indika of Arrian by J. W. McCrindle (Calcutta, 1877).
79. R. J. van der Spek, Coming to Terms with the Persian Empire: Some Concluding Remarks and Responses, *Political Memory In and After the Persian Empire*. Jason M. Silverman and Caroline Waerzeggers (eds.). Society of Biblical Literature; Ancient Near East Monographs, no. 13 (Atlanta: SBL Press, 2015), pp. 447-477.
80. M. W. Stolper, *Entrepreneurs and Empire. The Murasu Archive, the Murasu Firm, and Persian Rule in Babylonia*. Publications de l'institut historique et archéologique néerlandais de Stamboul sous la direction de E. van Donzel, Machteld J. Mellink, C. Nijland et J. J. Roodenberg, LIV (Leiden: Nederlands Historisch-Archaeologisch Instituut te Istanbul, 1985);
81. M. Tezcan, Bab al-Suls (Sul-Gates) in Caucasia and Turkestan, Their Roles in Medieval Caucasian and Turkestan Studies, and the Sul Turks, *International Journal of Central Asian Studies*, vol. 16, 2012, pp. 121-146.
82. R. W. Thomson, *Rewriting Caucasian History: The Medieval Armenian Adaptation of the Georgian Chronicles*. The Original Georgian Texts and the Armenian Adaptation. Translated with Introduction and Commentary by R. W. Thomson (Oxford: Clarendon Press, 1996).
83. Toumanoff, Medieval Georgian Historical Literature (VIIth-XVth centuries), *Traditio*, vol. 1, 1943, pp. 139-182.
84. M. Walckenaer, On Ancient Geography, *The Classical Journal*, for September and December 1817, vol. XIV, no. XXXII, 1817, pp. 257-262.
85. S. Wikander, *Feuerpriester in Kleinasien und Iran* (Lund, 1946).
86. J. Wiseman, *Nebuchadnezzar and Babylon* (London: Published for the British Academy by Oxford University Press, 1991).
87. M. Wolohojian, *The Romance of Alexander the Great by Pseudo-Callisthenes*. Translated from the Armenian Version with an Introduction by Albert Murgdich Wolohojian (New York and London: Columbia University, 1969).
88. Worthington, *Alexander the Great: Man and God* (London, New York: Routledge, 2014).

**ABOUT THE IDENTITY OF THE “BUN-TURKS” AND “HONS”
OF THE CONVERSION OF KARTLI**

In the *Conversion of Kartli* and Leonti Mroveli's *the Life of the Kings*, we have the description of the invasion of Iberia, eastern Georgia by Alexander the Great who saw there horrible barbarians, called "Bun-Turks". No other people acted in such a disgusting way as they did: "*the description of their way of life was inexpressible*". But they had strong towns and were fearless warriors.

To identify the “Bun-Turks”, the context in which their name occurs must be decisive. In both Georgian chronicles mentioned above, this ethnonym is found only in connection with the legendary campaign of Alexander the Great in Iberia. As far as it is known that Alexander the Great never marched towards the Caucasus, and the entire cycle of the early works on his campaign towards the Caucasus fall within the scope of legends and mythology, it would be more natural to search the primary source of the Georgian chronicles about Alexander the Great and “Bun-Turks” among compositions of such type, and not in the concrete historical events of that time.

Among such works, which contain legendary information about the heroic battle of Alexander with the wild tribes of *Gog* and *Magog*, mentioned in the Old Testament, one must first of all consider the compilation of Pseudo-Callisthenes “Alexander Romance”, composed in the 3rd century AD in Greek in the Egyptian city of Alexandria as well as its different versions and other compositions that descend from it. In consequence, we can say that the “Bun-Turks” mentioned in the ancient Georgian chronicle most likely, were not really existing people or tribe settled in the territory of modern eastern Georgia since ancient times, but seems to be a literary fiction that arose as a result of the selective interpretation or misinterpretation of foreign written sources, existing in the epoch of compilation of the above-mentioned Georgian chronicles.

At the same time, *the Life of the Kings* clearly indicates that the “Hons” of *the Conversion of Kartli* refers to the Jews who were allegedly captured by Nebuchadrezzar II in Jerusalem.

After the fall of the Roman Empire, Alexander the Great's name as a fighter against the northern nomadic tribes became most glorious. He, the suppressor of the barbarians, was an effective remedy to terrify savage tribes, and a long time after his death, when the civilized world was threatened by their invasion, the old legend about the *Iron Gate* erected by him against barbarians, was revived.

Regardless of the fact that we haven't any proof of the invasion of Macedonians in the Caucasus, the considerable interest of the Hellenistic states of the Near East in Iberia seems to have been doubtless. For the rulers of the states of the Eastern Mediterranean-Near Eastern area in all periods, faced with the necessity of effective control of the Caucasian passes, passes which barred the way of the northern invaders, were always eager to have in the central part of Transcaucasia, in Iberia, a political organisation with the sufficient strength to fulfill such a defensive function.

The *Caucasian* or the so-called *Caspian Gate* (modern Daryali pass) is frequently called the *Pillars, Stronghold* or *Iron Gate* of Alexander the Great by the Classical (Greco-Roman) authors. The connection of the name of Alexander the Great with the emergence of the Georgian statehood, known from old Georgian chronicles, indicates the *raison d'être* of this state, namely to be the outpost of the civilised world in its struggle with the realm of *Gog* and *Magog* lying beyond the Great Caucasian Ridge. Thus, the concept of Alexander's *Iron Gate* was a reflection of the specific political function of the Georgian State: to have control over one of the most important strategic passes of the world.

This function seems to have been one of the main decisive factors that challenged the emergence of the Georgian State in the Early Hellenistic period. It is interesting that the period of replacement of the *Pax Achaemena* by the *Pax Macedonica* marks out the emergence of Iberian Kingdom. At the same time, the control of the Caucasian passes could create the most favourable opportunity for the preservation of *Pax Romana* in the Middle East. The Iberians were the most important allies of the Romans in the region, having supremacy over the Caucasian Gate. The close collaboration between the Romans and the Iberians, based on their joint strategic interests as parts of one and the same *Orbis Terrarum*, was the *leit-motif* of their interrelations.

The long-term aspiration of the medieval Georgian monarchy, going back presumably to the times of the Roman Empire, to bring under its sovereignty not only the *Caucasian Gate*, but all existing Caucasian passes from the Black to the Caspian Sea, is expressed by the formula of its territorial integrity in the Georgian chronicle of the 13th century dedicated to Queen Tamar: “*from Nikopsia to Daruband*”, *i.e.* from the North-Eastern Black Sea littoral to the Derbent gateway (the second important pass of the Caucasus), on the western shore of the Caspian Sea. This formula, emphasising especially the northern borderline along the Caucasus, enables us to interpret the main function of that kingdom in a more general context.